

კვლევა ჩატარებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივის  
ფარგლებში:  
„ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“

# მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში

სიტუაციური ანალიზი

4 მაისი, 2015

თბილისი

ანგარიში მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ფარგლებში: „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“.

პროექტი მინიღარეობს ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს ფინანსური და მეთოდოლოგიური მხარდაჭერით.

მკვლევართა ჯგუფი:

1. ანასტასია ქიტიაშვილი, ფსიქოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
2. ნანა სუმბაძე, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
3. თამარ მახარაძე, საჯარო ადმინისტრირების დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

შინაარსი

|  |    |
|--|----|
| 1. შესავალი .....  | 4  |
| 2. კვლევის მეთოდი .....  | 8  |
| 3. კვლევის შედეგები.....   | 9  |
| 3.1. ქვეყნის ძირითადი სოციალურ - ეკონომიკური მაჩვენებლები .....                                    | 9  |
| 3.2. სამიზნე ჯგუფების მოკლე დახასიათება .....  | 9  |
| 3.3. საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მოკლე მიმოხილვა ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით..... | 12 |
| 3.4. კვლევის შედეგები ჩაღრმავებული ინტერვიუების მიხედვით .....                                     | 22 |
| 4. დასკვნები და რეკომენდაციები .....   | 33 |
| ბიბლიოგრაფია.....  | 39 |
| დანართები.....   | 40 |

## 1. შესავალი

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ევროკავშირის დღის წესრიგში, რადგან კვლევები ადასტურებს, რომ პროფესიულ განათლებასა და მომზადებას მრავალმხრივი პოზიტიური გავლენის მოხდენა შეუძლია პიროვნულ დონეზე, ქვეყნის ეკონომიკაზე, საზოგადოებასა და საწარმოების ფუნქციონირებაზე (Vila, 2000; 2005; Feinstein et al., 2008).

პროფესიული განათლების გავლენა შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს:

1. პიროვნული/ინდივიდუალური დონე - პროფესიული განათლება ხელს უწყობს დასაქმებას და შესაბამისად, შემოსავლის მიღებას. ასევე მნიშვნელოვანია ინდივიდუალურ დონეზე პიროვნების კარიერული ზრდა, სამუშაოთი კმაყოფილება, საზოგადოებაში ჩართულობა, დადებითი თვითშეფასების ჩამოყალიბება, მოტივაციის ამაღლება და ა.შ. (Cedefop, 2011a; 2011d; FIBS/DIE, 2013).
2. საწარმოების დონე - პროფესიული განათლება დადებით გავლენას ახდენს საწარმოების/კომპანიების საქმიანობაზე, მათ პროდუქტიულობასა და ეფექტურობაზე (Cedefop 2011a; 2011b; 2012b). ამ გავლენებს შორისაა დასაქმების ზრდა და ინოვაციების ხელშეწყობა.
3. ეკონომიკა და საზოგადოების დონე - პროფესიული განათლება დადებით გავლენას ახდენს შრომის ბაზრის შედეგებზე, ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე ჩართულობასა და უმუშევრობის შემცირებას (Cedefop, 2011a); ასევე ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობას, ინოვაციურობას - ეკონომიკურ განვითარებას (Cedefop, 2011a; 2012f; 2014a).

“ევროპა 2020<sup>1</sup>” პრიორიტეტებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, კონკრეტულად:

- სხვადასხვა ჯგუფებისათვის პროფესიული განათლების მიღების მხარდაჭერა პროფესიული უნარების განვითარებისა და კარიერული წინსვლისათვის;
- პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფა;
- პროფესიული განათლების სისტემის მოქნილობის უზრუნველყოფა;
- განათლების სხვადასხვა საფეხურებს შორის მობილობის გაადვილება/მხარდაჭერა.

ზემოთ მითითებული პრიორიტეტებისდა მიუხედავად პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა ევროპაში კვლავ გამოწვევად რჩება. ქვემოთ მოცემული მონაცემები ამ ტენდენციას ადასტურებს:

- საშუალო განათლების შემდგომ დაწყებით პროფესიულ განათლებაში საშუალოდ 49.9% არის ჩართული (საშუალო ევროპული მაჩვენებელი);
- ევროპაში დასაქმებულთა 33% მონაწილეობს შემდგომ პროფესიულ განათლებაში;
- ISCD 5-ში 30-34 წლის მოსახლეობის 7.1% მონაწილეობს;
- ევროპის საწარმოების 60% დასაქმებულებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის ტრენინგებს;

<sup>1</sup> EUROPE 2020. A European strategy for smart, sustainable and inclusive growth. 2010

- მთელი ცხოვრების განმავლობაში განათლებაში მოზრდილთა ჩართულობის მაჩვენებელი 9.5% -ია (CEDHOF, 2013).
- EU-20 მიზანი, რომ 2020 წლისათვის მოსახელოების დაახლოებით 15% მონაწილეობდეს უწყვეტ პროფესიულ განათლებაში (ასაკი 25-64), ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. 2013 წლისათვის ეს მაჩვენებელი 9% - დან 10.4% -მდე გაიზარდა. დიდია ევროკავშირის ქვეყნებს შორის განსხვავება. მაშინ, როდესაც, ჩრდილო ევროპული ქვეყნებისათვის ეს მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია, 25%-ზე მაღალი, ბულგარეთში, საბერძნეთსა და რუმინეთში ბოლო წლებში 3%-ზე დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება.

ეს ტენდენციები თავისთავად დღის წესრიგში აყენებს პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერების კვლევისა და მათი შესუსტების/გათავისუფლების გზების ძიების საკითხს, რასაც მოგვიანებით შევეხებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისათვის; ხშირად ამ ჯგუფებს ნაკლები ხელმისაწვდომობა აქვთ განათლებაზე, მათ შორის პროფესიულ განათლებაზეც, რადგან ხარისხიანი განათლების მისაღებად მათ მეტი დახმარება, დრო, სერვისები, ფინანსები და მხარდაჭრა სჭირდებათ. თუმცა, მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია არა მხოლოდ მათი დასაქმება თუ ფინანსური კეთილდღეობა, არამედ მათი სოციალური ინტეგრაცია და საზოგადოებაში თანასწორი ჩართულობა, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია.

არ არსებობს მოწყვლადი ჯგუფების ერთიანი განმარტება, თუმცა ეს ტერმინი მიუთითებს ზოგადად იმ ჯგუფებზე, რომელთაც მარგინალიზაციის საფრთხე ემუქრებათ როგორც შრომის ბაზრიდან, ასევე საზოგადოებიდანაც (Atkinson, 2000).

მოწყვლადობა დაკავშირებულია ისეთ ფაქტორებთან, როგორცაა რეგიონალური და ეკონომიკური ფაქტორები, ადგილობრივი შრომის ბაზარი, საწარმოების მართვა, ინდივიდუალური თუ სოციალური მახასიათებლები. მოწყვლადი ჯგუფები ტიპურად დაჯგუფებულები არიან სოციალური მახასიათებლების მიხედვით: ასაკი, სქესი, ეთნიკურობა, შეზღუდული შესაძლებლობები თუ ოჯახური მდგომარეობა.

კვლევები მიუთითებს, რომ ზოგადად სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობაზე, ხელს უწყობს სოციალური რისკების წარმოქმნას და შესაბამისად, ახალი მოწყვლადი ჯგუფების გაჩენასაც. სოციალურიდაცვისა და უსაფრთხოების მრავალფეროვანი სქემების მიუხედავად, მოწყვლადი ჯგუფები უფრო და უფრო ფართოვდება და ამჟამად ისეთ ჯგუფებს მოიცავს, როგორცაა ასაკოვანი ადამიანები, მარტოხელა ოჯახები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, და საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირები, სოციალურად დაუცველი პირები, ლტოლვილები, დევნილები, ხანგრძლივად უმუშევრები, ვეტერანები, ეთნიკური უმცირესობები და ა.შ. მეორეს მხრივ სოციალური ცვლილებები, როგორცაა მოსახლეობის “დაბერება”, გლობალიზაცია და კულტურული მრავალფეროვნება როგორც ზოგადად, ასევე

განათლების სფეროში ისეთი სერვისების განვითარებას მოითხოვს, რომლებიც ყველა კატეგორიის მოსახლეობის მოთხოვნებსა და საჭიროებებს დააკმაყოფილებს.

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერები მრავალფეროვანია; ინდივიდუალურ დონეზე გამოყოფენ შემდეგი ბარიერებს (Rubenson & Desjardins, 2009):

- ინფორმაციის ნაკლებობა;
- სწავლის საფასური, რაც მოწყვლადი ჯგუფებისათვის კიდევ უფრო პრობლემურია;
- დისპოზიციური ფაქტორები, როგორცაა უარყოფითი განწყობები განათლების მიღების მიმართ, მოტივაციის ნაკლებობა;
- სწავლის სირთულეები, ენის ბარიერი;
- დროის ნაკლებობა ოჯახური პასუხისმგებლობების გამო;
- სწავლის შეუთავსებლობა სამუშაო განრიგთან.

სისტემის დონეზე ბარიერები ძირითადად უკავშირდება საკანონმდებლო ჩარჩოს და რეგულაციებს, როგორცაა:

- განათლების პოლიტიკასთან დაკავშირებული ბარიერები, რომელიც პროფესიულ განათლებას მოწყვლადი ჯგუფებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის;
- გეოგრაფიული, ფიზიკური ბარიერები;
- სისტემის დაფინანსების ნაკლებობა;
- პროფორიენტაციის სისტემის არარსებობა, რაც ინფორმირებას უშლის ხელს და სხვა.

პროვაიდერებთან დაკავშირებული ბარიერებია:

- სწავლის დაწყების წინაპირობა, მაგ. ტესტირება, დამატებითი მოთხოვნები;
- სწავლის შედეგების მიღწევის სირთულე;
- სწავლება-შეფასების ნაკლებად მისადაგება სხვადასხვა ჯგუფების საჭიროებასთან.

საწარმოების დონეზე ბარიერები ძირითადად შეეხება ზრდასრულ დასაქმებულ მოსახლეობას. ეს ბარიერებია:

- საწარმოები ნაკლებად აფინანსებენ საკუთარი კადრების ტრენინგებს, რადგან მიაჩნიათ, რომ კადრები აკმაყოფილებენ მოთხოვნას ან ურჩევნიათ ახალი კადრების შერჩევა;
- უნარების განვითარება ძირითადად დაწყებითი პროფესიული და არა განგრძობითი განათლების საშუალებით ხდება;
- საწარმოები თავს იკავებენ ტრენინგების მაღალი საფასურის, დროის ნაკლებობის, უნარების საჭიროების შეფასების სირთულის გამო და ა.შ.

განათლებაზე ხელმისაწვდომობა და სწავლის თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნა, როგორც აუცილებელი პირობა, გათვალისწინებულია ბევრ საერთაშორისო რეგულაციაში, რომლის განხორციელების ვალდებულება საქართველომ დაადასტურა (UN Convention on the Rights of Persons with Disabilities, 2006). განათლებაზე ხელმისაწვდომობა ხაზგასმულია ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაში (2014 წელი). საკანონმდებლო დონეზე და სხვადასხვა სტრატეგიებში მნიშვნელოვანი

ადგილი უკავია პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, თუმცა მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ამ მიმართულებების დანერგვა და განხორციელება.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია საქართველოში მაცხოვრებელი მოწყვლადი ჯგუფებისთვის პროფესიული განათლების სისტემაზე ხელმისაწვდომობის ბარიერების კვლევა.

კვლევის სამიზნე ჯგუფები

ამ კვლევის ფარგლებში აქცენტი გაკეთებულია შემდეგ მოწყვლად ჯგუფებზე<sup>2</sup>:

1. სოციალურად დაუცველი პირები;
2. ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები;
3. სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული ბენეფიციარები;
4. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები;
5. იძულებით გადაადგილებული პირები;
6. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები;
7. ვეტერანები;
8. რეპატრირებული მესხები.

კვლევაში შესწავლილია პროფესიული განათლების მიღების შემდეგი ბარიერები:

1. სისტემის დონე:
  - \* განათლების პოლიტიკასთან დაკავშირებული ბარიერები, რეგულაციები;
  - \* გეოგრაფიული, ფიზიკური ბარიერები - საგანმანათლებლო ქსელი და მისი დაფარვა;
  - \* დემოგრაფიული ბარიერები - გენდერთან, ასაკთან დაკავშირებული ბარიერები;
  - \* ინფორმაციული ბარიერი- ინფორმაციის ნაკლებობა.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (პროვაიდერებთან) დაკავშირებული ბარიერები:
  - \* გეოგრაფიული მდებარეობა;
  - \* საგანმანათლებლო დაწესებულებაში სივრცის ორგანიზება;
  - \* სწავლის დაწყების წინაპირობა, მაგ. ტესტირება, გამოცდები;
  - \* სწავლის საფასური;
  - \* სწავლის შედეგების მიღწევის სირთულე.
3. პიროვნული ბარიერები
  - \* დისპოზიციური ბარიერები - თვითშეფასება, ატიტუდები და ა.შ;
  - \* მოთხოვნასთან დაკავშირებული ბარიერები - დროის ნაკლებობა, სამუშაო, ოჯახის მიზეზები;
  - \* ცნობიერებისა და მოტივაციის ნაკლებობა- განათლება არ არის ღირებული პირისათვის;
  - \* სწავლის და ოჯახისგან მოწყვეტით ცხოვრების საფასური, ფინანსების ნაკლებობა.

<sup>2</sup> მონყვლადი ჯგუფები შერჩეულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტების გათვალისწინებით.



4. გარემოსთან დაკავშირებული /სიტუაციური ბარიერები:

- \* კულტურული ღირებულებები;
- \* სოც. გარემო, ოჯახის დამოკიდებულებები.

ერთიდა იგივე ბარიერი შესაძლებელია სხვადასხვა დონეს უკავშირდებოდეს. კვლევის საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები ბარიერების დაძლევისათან დაკავშირებით, რომელსაც შემდგომში მოწყვლადი ჯგუფებისათვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის კონცეფცია დაეფუძნება.

## 2. კვლევის მეთოდი

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ:

ა) სამაგიდე კვლევა

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა პროფესიულ განათლებაში შესვლასთან/ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები, კვლევები, სტატისტიკური მონაცემები, ანგარიშები. კვლევამ მოიცვა შემდეგი საკითხები: ქვეყნის ძირითადი სოციალურ - ეკონომიკური მაჩვენებლები, საკანონმდებლო ბაზა და სტრატეგიები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, პროფესიული განათლების შესახებ ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება, სწავლების პროცესი.

სამაგიდე კვლევის ფარგლებში გაანალიზდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) 2012-14 წლების მონაცემთა ბაზა. ანალიზის მიზანი იყო პროფესიულ კოლეჯებში (საჯარო და კერძო) 2012-14 წლების განმავლობაში სტუდენტების რეგისტრაციისა და ჩარიცხვის დინამიკის შესწავლა; ანალიზისას გამოყენებული იყო შემდეგი მახასიათებლები: ასაკი, სქესი, რეგიონი, სტუდენტის სტატუსი (სოციალურად დაუცველი პირები, საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები და იძულებით გადაადგილებული პირები).

ბ) ჩაღრმავებული ინტერვიუ

ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა სამიზნე ჯგუფებთან მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ჩაღრმავებული ინტერვიუსათვის წინასწარ მომზადდა ინტერვიუს სახელმძღვანელო (იხ.დან.# 1). ჩაღრმავებულმა ინტერვიუმ მოიცვა შემდეგი საკითხები: სამიზნე ჯგუფების მახასიათებლები, დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემები, განათლების მიღების მიმართ დამოკიდებულებები, პროფესიული განათლების მიღების ბარიერები, მათი დაძლევის გზები.

ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა 16 ორგანიზაციის წარმომადგენელ 17 ექსპერტთან (რესპონდენტები და შესაბამისი ორგანიზაციები მოცემულია დანართში #2).

ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს გამოყენებული იყო არაალბათური შერჩევის დიზაინი, კერძოდ კი მიზანმიმართული (დანიშნულებითი) შერჩევა.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებულია შემდეგი შეზღუდვები: ინტერვიუები ჩატარდა სამიზნე ჯგუფების პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციების



წარმომადგენლებთან და არ მოიცავს ბენეფიციარების, ან მათი მშობლების კვლევას, რაც განაპირობა კვლევის შეზღუდულმა ვადებმა.

### 3. კვლევის შედეგები

#### 3.1. ქვეყნის ძირითადი სოციალურ - ეკონომიკური მაჩვენებლები

საქართველოში არსებული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა განვითარების ნაკლებ პერსპექტივას სთავაზობს მოწყვლად ჯგუფებს. ქვემოთ მოკლედ არის განხილული ძირითადი მონაცემები:

- ბოლო ათწლეულის განმავლობაში გაუმჯობესდა საქართველოს ეკონომიკური ინდიკატორების გარკვეული მაჩვენებლები, თუმცა შრომის ბაზრის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა; მშპ-ის საშუალო ზრდის ტემპმა 2004 წლიდან 5.9% მიაღწია, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური მაჩვენებელი 2013 წელს 14,996.7 (მლნ. ლარი) დაფიქსირდა (საქსტატი, 2014)
- უმუშევრობა საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება; საქართველოს მოსახლეობის 14.6% უმუშევარია, 61% თვითდასაქმებულია, ხოლო 51% ნაკლებად პროდუქტიულ, სოფლის მეურნეობის სფეროშია დასაქმებული. უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 15-19 და 20-24 ასაკობრივ ჯგუფებში ფიქსირდება (43% და 33.8%); ასაკის ზრდასთან ერთად უმუშევრობის დონე მცირდება. ქალების უმუშევრობის მაჩვენებელი დაბალია კაცების უმუშევრობის მაჩვენებელთან შედარებით (12.3% და 16.5%) (საქსტატი, 2014).

შრომის ბაზრის მაჩვენებლები განათლების დონის მიხედვით გვიჩვენებს, რომ შედარებით დაბალია დასაქმება უმაღლეს განათლებულთა შორის. უმუშევრობის მაჩვენებელი უმაღლესი განათლების მქონე აქტიურ მოსახლეობაში 18.7%-ის, ხოლო პროფესიული განათლების მქონეთა მოსახლეობაში 12.3%-ის ტოლია (ტორინო-საქართველო. 2014). ეს მონაცემი კიდევ ერთხელ ადასტურებს პროფესიულ განათლების მნიშვნელობას ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ რეალობაში და მის კავშირს დასაქმებასთან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული განათლების როლი გაცილებით დიდია, ვიდრე მხოლოდ დასაქმების ანდა ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.

- საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქართველოში 773.1 ლარს შეადგენს (საქსტატი, 2013), რაც 2012 წელთან შედარებით მცირედ გაიზარდა (712.5 ლარი). საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 2014 წლის დეკემბრის მონაცემით 141.2 ლარია, ხოლო საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი - 267.4 ლარი.
- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი საკმაოდ მაღალია და 9.7%-ს შეადგენს (2012 და 2013, საქსტატი, 2013).
- გაეროს ბავშვთა ფონდის 2012 წლის კვლევის მიხედვით, საქართველოში 77 000 ბავშვი ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში (დღეში 1 ევროზე ნაკლებ თანხად), რაც საქართველოს ბავშვთა მოსახლეობის 9.4 % შეადგენს. ბავშვთა მოსახლეობის 25 პროცენტი კი ფარდობითი სიღარიბის პირობებში იზრდება.

#### 3.2. სამიზნე ჯგუფების მოკლე დახასიათება

სო ცია ლ ურა დ და უცველი მო სა ხლეობა

2014 წლის მონაცემებით მოსახლეობის 36.3% სოციალურად დაუცველთა ბაზაშია რეგისტრირებული (2013 წელი 36.7%) და 9.4% სოციალურ შემწეობას<sup>3</sup> იღებს (2013 წელი 10.1%). 2014 წლის სატატისტიკის მიხედვით, წინა წლებთან შედარებით უმნიშვნელოდ შემცირდა მიზნობრივ სოციალურ პროგრამებზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა და საარსებო მინიმუმის მიმღებ პირთა რაოდენობა, თუმცა საერთო ჯამში სოციალურად დაუცველ პირთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია.

შეზღუდული შესაძლებლობები და სავანების მქონე პირები საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემების მიხედვით 2014 წელს საქართველოში დაახლოებით 141 000 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია.

ეროვნული უმცირესობები

საქართველოს მოსახლეობის 15.8% ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელია (2002 წლის აღწერის მიხედვით). ეროვნულ უმცირესობებს შორის ლიდრობენ აზერბაიჯანელები 6.5% და სომხები 5.7%. ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ ქვემო ქართლსა (აზერბაიჯანელები) და სამცხე ჯავახეთში (სომხები); ამ რეგიონებში უმრავლესობას ისინი წარმოადგენენ.

იძულებით გადაადგილებული პირები

დევნილობა მთელ მსოფლიოში მოკლევადიანიდან გრძელვადიან პრობლემაში გადაიზარდა. 1993 წელს დევნილობის საშუალო ხანგრძლიობა მსოფლიოში 7 წელს შეადგენდა, ხოლო 2007 წელს - 17 წელს (Loeshet et al.,2007).

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეთნიკურმა კონფლიქტებმა ბევრი ადამიანი აქცია დევნილად აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან. ოთხმოცდაათიან წლებში ოსეთიდან და აფხაზეთიდან დევნილია 230,000 ადამიანი, ხოლო 2008 წელს ოსეთიდან - 26,000. ამას ემატებათ დევნილობაში დაბადებულთა რიცხვი. საქართველოში რეგისტრირებულია 259 247 იძულებით გადაადგილებული პირი და 86 283 ოჯახი (ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემები 17.09.2014). ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა რაოდენობაა 357 (2104 წ თებერვალი).

საქართველოში ფუნქციონირებს დევნილთა 31 სკოლა, რომელთაც აფხაზეთის განათლების სამინისტრო ხელმძღვანელობს.

დევნილთა რაოდენობა საქართველოს რეგიონების მიხედვით

| # | რეგიონი                | რაოდენობა |
|---|------------------------|-----------|
| 1 | თბილისი                | 98,742    |
| 2 | სამეგრელო-ზემო სვანეთი | 84,420    |

<sup>3</sup> მიზნობრივი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა) არის ფულადი სახის გასაცემელი, რომლის მიზანია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული დატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირება ან/და მისი პრევენცია. სოციალური დახმარების მისაღებად ოჯახმა უნდა შეავსოს შსაბამისი აპილკაცია. ფულადი დახმარების დანიშნვის უფლებას მოიპოვებს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული ყველა ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57 000-ს. ფულად დახმარებას ოჯახი იღებს მინიჭებული სარეიტინგო ქულის ძალაში შესვლიდან მეორე თვეს. 2013 წლის ივლისიდან ოჯახი იღებს შემდეგი ოდენობის ფულად დახმარებას:ერთსულიანი ოჯახი - 60 ლარე;

მონყვლადი ჭგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა  
ორი და მეტსულიანი ოჯახების შემთხვევაში, ოჯახის უხუცეს წევრზე 60 ლარი, ხოლო ყოველი მომდევნო წევრზე -  
48 ლარი. არსებობს გარკვეული პრობემები, რომელსაც სააგენტო არეგულირებს,

|    |                            |         |
|----|----------------------------|---------|
| 3  | იმერეთი                    | 24,742  |
| 4  | შიდა ქართლი                | 16,539  |
| 5  | ქვემო ქართლი               | 12,406  |
| 6  | მცხეთა-მთიანეთი            | 10,864  |
| 7  | აჭარა                      | 6,416   |
| 8  | სამცხე-ჯავახეთი            | 2,288   |
| 9  | კახეთი                     | 1,486   |
| 10 | რაჭა-ლეჩხული-ქვემო სვანეთი | 841     |
| 11 | გურია                      | 490     |
|    | სულ                        | 259,247 |

ქუჩა ში მცხოვ რები და მო მუმა ვე ბა ვშვები

არაოფიციალური მონაცემებით დღესდღეობით საქართველოში ქუჩაში დაახლოებით, 1500-1600 ბავშვი ცხოვრობს და მუშაობს. ბავშვების ნაწილი მუდმივად ცხოვრობს ქუჩაში, ხოლო ნაწილი პერიოდულად ჩამოდის საშოვარზე - ძირითადად რაიონებიდან, ასევე უცხო ქვეყნებიდან (ძირითადად აზერბაიჯანიდან).

2014 წლამდე ქუჩაში მცხოვრებიდა მომუშავე ბავშვებთან სისტემურ დონეზე არავის უმუშავია. 2014 წელს ამოქმედდა სახელმწიფო პროგრამა. მანამდე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობდა, თუმცა სისტემურ დონეზე ვერ მოხერხდა ერთიანი თანმიმდევრული პოლიტიის შემუშავება და დანერგვა.

რეპატრირე ბული მესხები

მუსლიმი მესხები სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობდნენ. 1944 წელს სტალინის ბრძანებით მთელი მუსლიმი მოსახლეობა, 80,000-მდე ადამიანი გასახლებულ იქნა შუა აზიაში. მეოცე საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ მათ მიეცათ საბჭოთა კავშირის ფარგლებში გადაადგილების შესაძლებლობა. დღესდღეობით ისინი ცხოვრობენ შუა აზიაში, აზერბაიჯანში, რუსეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და თურქეთში.

საქართველოს ევროსაბჭოს წინაშე აღებული აქვს მუსლიმი მესხების საქართველოში დაბრუნების ვალდებულება. უკანასკნელი მონაცემებით 1533 მუსლიმ მესხს მიღებული აქვს საქართველოს მოქალაქის სტატუსი, აქედან სავარაუდოდ 1/3 არასრულწლოვანია.

რეპატრირებული მესხები ცხოვრობენ სამცხე-ჯავახეთში, თბილისში, იმერეთში, შიდა ქართლში და გურიაში. წინა წლებში ჩამოსახლებულთა ნაწილმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, რომლებმაც ქართულ სკოლებში ისწავლეს იციან ქართული, ახლად ჩამოსახლებულთა შორის ნაკლებია ქართული ენის მცოდნე პირები.

მუსლიმი მესხები ძირითადად სოფლის მეურნეობით არიან დაკავებულნი; ისინი ზედმიწევნით იცავენ ტრადიციებს და მათი საზოგადოება შეიძლება დახასიათებულ იქნეს, როგორ პატრიარქალური.

ვეტერანები

ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირებისა და მათი ოჯახის წევრების საერთო რაოდენობაა 73067 (2014 წლის ოქტომბრის მონაცემები). ვეტერანების უმეტესი ნაწილი

მონყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა რეგიონებში ცხოვრობს; თბილისში ცხოვრობეს 19907 პირი, ხოლო რეგიონებში - 53160, რომელთაგან 2372 დევნილია.

ვეტერანების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

| რეგიონი                        | რაოდენობა |
|--------------------------------|-----------|
| თბილისი                        | 19907     |
| შიდა ქართლი                    | 8925      |
| ქვემო ქართლი                   | 4758      |
| კახეთი                         | 4392      |
| მცხეთა-მთიანეთი                | 1631      |
| სამცხე-ჯავახეთი                | 2998      |
| იმერეთი                        | 8276      |
| გურია                          | 1873      |
| რაჭა-ლეჩხუმი                   | 845       |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი         | 3712      |
| აჭარა                          | 4327      |
| აფხაზეთიდან დევნილი ვეტერანები | 11412     |

3.3. საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მოკლე მიმოხილვა ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით

3.3.1. საკანონმდებლო ბაზა და სტრატეგიები

პროფესიული განათლების მიღება რეგულირდება საქართველოს კანონით პროფესიული განათლების შესახებ (2007); პროფესიული განათლების მიღება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის შემდეგ არის შესაძლებელი. 2013 წელს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით <sup>4</sup> რეგულირდება პროფესიული სტუდენტების დაფინანსება საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელიც უკავშირდება ერთიანი პროფესიული ტესტირების წარმატებით გავლას. პროფესიულ ტესტირებას ადმინისტრირებას უწევს გამოცდების ეროვნული ცენტრი. პროფესიული სტანდარტებისა და მისი შესაბამისი სასწავლო პროგრამები შეიძლება ასევე განისაზღვროს დამატებითი მოთხოვნები.

არსებული კანონი არ არეგულირებს უწყვეტ პროფესიულ თუ ზრდასრულთა განათლებას. არ არსებობს სწავლის დაწყების ასაკობრივი შეზღუდვა, რაც დადებითი ფაქტია, თუმცა ბარიერები ფიქსირდება ჰორიზონტალური და ვერტიკალური მობილობის თვალსაზრისით, რის გადახედვაც კანონმდებლობაში 2014 წლიდან მიმდინარეობს. არსებულ კანონში ჯეროვნად არ არის გათვალისწინებული ინდივიდუალური მიდგომების, სტუდენტზე ცენტრირებული მოქნილი მეთოდოლოგიის მნიშვნელობა პროფესიული განათლების მიწოდების პროცესში.

პროფესიული განათლების სისტემის წინაშე დგას შემდეგი “ჩიხების” პრობლემა: იმ სტუდენტებს, რომლებსაც არ აქვთ საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, არ შეუძლიათ სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების მიმართულებით. პროფესიული განათლების ფარგლებში ვერ ხერხდება საშუალო

<sup>4</sup> მთავრობის დადგენილება № 244, 2013

განათლების დასრულება; ასეთ აბიტურიენტებს საშუალო განათლების დასრულების მიზნით უწყვეტ სკოლაში დაბრუნება ანდა პროფესიული განათლების პარალელურად სკოლაში სწავლა. 2014 წელს განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით<sup>5</sup> გამოკითხული 1310 პროფესიული განათლების კურსდამთავრებულიდან 12 დაბრუნდა სკოლაში, ამათგან 9 რესპონდენტმა მიზეზად უმაღლეს განათლებაში სწავლის გაგრძელება დაასახელა.

პროფესიული განათლების სისტემაში ე.წ. "ჩიხების" არსებობა არა მხოლოდ აფერხებს მთელი ცხოვრების განმავლობაში განათლების მიღების კონცეფციის განხორციელებას, არამედ ამცირებს პროფესიული განათლების მიზნიდველობასაც. ჩიხების პრობლემა პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაში 2013-2020 წწ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად არის აღიარებული.

წინმსწრები განათლების აღიარება I-III საფეხურზეა შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი საფუძველი მომზადებულია და მექანიზმები განხილული, არაფორმალური განათლების აღიარება მაინც პრობლემად რჩება, რაც მოქნილობის თვალსაზრისით პრობლემას ქმნის.

პროფესიული განათლების სისტემაში შეღწევის პრობლემაა იმ პირებისათვის, რომელთაც არ აქვთ დასრულებული საბაზო განათლება სხვადასხვა პრობლემების გამო; ამ ჯგუფებს შორის არიან ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, იძულებით გადაადგილებული პირები, მიგრანტები და ა.შ. არსებული რეგულაციის პირობებში ამ ჯგუფებს პროფესიულ განათლებაზე არ მიუწვდებათ ხელი, არამედ მხოლოდ ცალკეულ მოკლევადიან კურსებზე, რაც კვალიფიკაციის მიღწევის საშუალებას არ იძლევა. ეს გარემოება მათ ნაკლებ კონკურენტუნარიანს ხდის შრომის ბაზარზე; ასევე გასათვალისწინებელია მათი მარგინალიზაციისა და სოციალური ჩართულობის საკითხიც.

2014 წლის მარტიდან<sup>6</sup> განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფი მუშაობს პროფესიული განათლების კანონში ცვლილებების პროექტის მომზადებაზე, რომლის მიზანია სისტემისათვის მეტი მოქნილობის უზრუნველყოფა, სისტემის ჩიხებისგან გათავისუფლება და ინკლუზიურობის უზრუნველყოფა.

პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია

პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაში 2013-2020 წწ ასახულია პროფესიული განათლების მიმართ ინკლუზიური მიდგომა. პროფესიული განათლების მიღების უფლება და პირობები სტრატეგიის ზოგად მიზნებს შორის შემდეგნაირადაა ფორმულირებული:

<sup>5</sup> პირველადი ანგარიში, ACT, 2014

<sup>6</sup> "პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 31 მარტის N389 ბრძანება



“საზოგადოების ყველა ფენის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მათი პიროვნული თვითრეალიზებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი მოსახლეობის ჩართვისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში, რომელიც მიისწრაფვის დინამიური და წარმატებული საზოგადოებისა და ეკონომიკის ჩამოყალიბებისკენ” (გვ.4).

ხოლო კონკრეტულ მიზნებს შორისაა: “მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისათვის პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა, მათი მომზადება დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის, კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით” (გვ.4).

სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ყველა ტიპის მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობას მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ეროვნების, სქესის, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობისა და მიუხედავად.

სტატეგიაში განხილულია ხელმისაწვდომობის გაზდის შემდეგი მიდგომები:

1. საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის ეროვნულ და რეგიონულ საჭიროებებთან ჰარმონიზაცია;
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (კერძო და სახელმწიფო) გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა რეგიონების მიხედვით;
3. პროფესიული განათლების (მომზადება და გადამზადება) მოქნილობის უზრუნველყოფა - ელექტრონული, მოკლევადიანი, სადამოს კურსების შეთავაზება, სამუშაო ადგილზე გადამზადება, კომპანიებში ტრენინგი და ა.შ;
4. ინფრასტრუქტურის ადაპტირება (აღჭურვილობა და ინვენტარი) შეზღუდული შესაძლებლობების /საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის უნივერსალური დიზაინის პრინციპების მიხედვით;
5. სტუდენტების ჩარიცხვის პოლიტიკის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში შეცვლა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროების გათვალისწინებით;
6. საგანმანათლებლო სივრცის მოწყობა-ადაპტირება: სტუდენტთა საჭიროებების (შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირები) გათვალისწინებით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობისა და მიწოდების გაუმჯობესება უნივერსალური დიზაინის პრინციპების დაცვით მოსწავლეებისათვის, რათა დაკმაყოფილდეს კონკრეტული კურსების საჭიროებები და მოხდეს არსებული და სამომავლო დასაქმების საჭიროებების ასახვა;
7. საგანმანათლებლო დაწესებულებებში კონკრეტული მექანიზმების განვითარება გენდერული ბალანსის შესანარჩუნებლად, საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირების ჩასართავად და სხვა;
8. პრევენციული და ინტერვენციის ზომების მიღება, რაც შეამცირებს პროფესიული განათლების ადრეულ ეტაპზე მიტოვების მაჩვენებელს;
9. დაფინანსების მექანიზმების გადახედვა და დანერგვა.

პროფესიული განათლების სტრატეგია შეესაბამება მთავრობის ეკონომიკური განვითარების 2020 წლის სტრატეგიას<sup>7</sup>, რომლის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ადამიანური კაპიტალის განვითარება. სტრატეგია ხაზს უსვამს მოქნილი და შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის ფორმირებას და მის პოპულარიზაციას, რათა განვითარდეს ადამიანური კაპიტალი ქვეყანაში და პროფესიული განათლების როლი საქართველოში ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების პროცესში.

პროფესიული განათლების სტრატეგია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები/საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის (2012-2015) განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ადამიანური რესურსების განვითარებასა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკური სივრცის ორგანიზებაზე. ამჟამად მიმდინარეობს სტრატეგიის დანერგვა.

2013 წლიდან ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს ფინანსური და მეთოდოლოგიური მხარდაჭერით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს პროგრამას "ინკლუზიური განათლების დანერგვა პროფესიულ სისტემაში". განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურად აწარმოებს დიალოგს სოციალურ პარტნიორებთან და კოორდინაციას უწევს სხვა ორგანოებთან მუშაობას, რათა ჩამოაყალიბონ დასაქმებასთან დაკავშირებით ერთიანი ხედვა. 2014 წელს მთავარი აქცენტი გაკეთდება დამსაქმებლებზე და როლზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადამზადებასა და დასაქმებაში, კერძოდ: საერთაშორისო მოდელის ანალიზი, სარეკომენდაციო მოდელის მომზადება, საინფორმაციო კამპანიის ჩატარება ბიზნესის როლზე შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა დასაქმების შესაძლებლობაზე.

ახალგაზრდობის პოლიტიკა ეფუძნება თანასწორობისა და სოციალური ინტეგრაციის პრინციპებს. ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წწ. სამოქმედო გეგმა ყურადღებას ამახვილებს ზრუნვის სისტემაში მყოფი მოზარდების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელისშეწყობაზე. ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტი (2012), ყურადღებას ამახვილებს 14-25 წლის ახალგაზრდებთან 4 ძირითადი მიმართულებით მუშაობაზე: 1) მონაწილეობა; 2) განათლება, სამსახური, მობილობა; 3) ჯანმრთელობა; 4) სპეციალური დახმარება დადაცვა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული შრომის ბაზრის სტრატეგია და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმა 2013-2014<sup>8</sup> ორიენტირებულია ხუთ ძირითად მიმართულებაზე: სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფა; შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის ფორმირება/განვითარება სამუშაოს მაძიებლთათვის სამუშაოს მოძიების სერვისების ხარისხის გასაუმჯობესებლად; შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის გაუმჯობესება შრომის ბაზრის ანალიზის ინსტიტუციონალიზაციისა და შრომის ბაზრის მონაცემთა ბაზის შექმნის საშუალებით; შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და პროფესიულ განათლებას შორის შესაბამისობა; სამართლებრივი, დროებითი მიგრაციის მხარდაჭერა. სტრატეგია

<sup>7</sup> საქართველოს მთავრობა, 2014 წ

<sup>8</sup> დამტკიცდა 2013 წლის აგვისტოში

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდასაც ითვალისწინებს, განსაკუთრებით ზრდასრული მოსახლეობისათვის.

ამდენად, საკანონმდებლო დონეზე და სტრატეგიებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების ხელმისაწვდომობის საკითხს, თუმცა სხვა საკითხია ამ მიმართულებების დანერგვა და განხორციელება. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მეზღუდული შესაძლებლობების და საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებზე.

### 3.3.2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა

ამჟამად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი მთელი ქვეყნის მასშტაბით აერთიანებს 127 ავტორიზებულ სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებას (პროფესიული კოლეჯები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და უნივერსიტეტები).

საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან 62 თბილისში მდებარეობს, ხოლო დანარჩენი 65 - 10 რეგიონში. საჯარო კოლეჯების 65% (22) მდებარეობს რეგიონებში. პროფესიული სტუდენტების 44% თბილისში მდებარე პროფესიულ სასწავლებლებში სწავლობს. ეს მონაცემები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების არათანაბარ გეოგრაფიულ განაწილებაზე მიუთითებს. 18 სახელმწიფო კოლეჯიდან მხოლოდ 3 კოლეჯს აქვს საერთო საცხოვრებელი (კაჭრეთში, ქობულეთსა და ქუთაისში)<sup>9</sup>, რაც მობილობის თვალსაზრისით ასევე პრობლემურია. 2014 წლის განათლების სამინისტროს კვლევა<sup>10</sup> სტუდენტების დაბალ გეოგრაფიულ მობილობას აჩვენებს. რესპონდენტთა მხოლოდ 14%-მა შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი სწავლის გამო, ხოლო 86%-ს არ შეუცვლია. გასათვალისწინებელია, რომ ამავე კვლევის მიხედვით, გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა 82% კმაყოფილია პროფესიული სასწავლებლის მდებარეობით (ადვილად მისასვლელია ფეხით).

განათლებისა და მეცნიერების ინიციატივით 2013 წელს შეიქმნა “ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების საჭიროების, მიზანშეწონილობისა და განხორციელების საკითხების შემსწავლელი კომისია<sup>11</sup> “. კომისიამ შეისწავლა პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის საკითხი; საჯარო და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო მიმართულებები; არსებული მონაცემები შრომის ბაზრის შესახებ. შესწავლილ იქნა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების ინიციატივით სამინისტროში შემოსული კორესპონდენცია(103 წერილი). კომისია შეჯერდა საქართველოს მასშტაბით 26 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების რეკომენდაციაზე.

<sup>9</sup> სამინისტრო მუშაობს მესტიაში სართო საცხოვრებლის უზრუნველყოფაზე, რადგან მოთხოვნა დიდია

<sup>10</sup> პირველადი ანგარიში, ACT, 2014

<sup>11</sup> 2013 წლის 28 თებერვლის #69 ბრძანება

2012-2014წწ აშენდა ორი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება (კოლეჯი “ერქვანი” ამბროლაურში და “გლდანის პროფესიული სწავლების ცენტრი” თბილისში) და მოხდა ორი კოლეჯის სრული რეაბილიტაცია (“ფაზისი” სამეგრელოში და “მერმისი” თბილისში). ამასთან 3013-2014 წლებში დაფუძნდა ორი ახალი კოლეჯი: თბილისის ხელოვნების კოლეჯი და წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი (მცხეთა, წინამძღვრიანთკარი), რომელთა განვითარების ღონისძიებებიც ახლა მიმდინარეობს.

### სივრცის ადაპტირება

ყველა ავტორიზებულ პროფესიულ კოლეჯში არსებობს პანდუსები, რაც ავტორიზაციის მოთხოვნაში შედის, თუმცა გარემოს სრული ადაპტირება, შენობაში გადაადგილების ხელმისაწვდომობა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად სხვადასხვა საჭიროების მხონე სტუდენტებისათვის კვლავ პრობლემაა.

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საკლასო ოთახებისა და სველი წერტილების, არამედ სახელოსნოების, სასწავლო მასალების ადაპტირებაც. ამ მიმართულებით სამინისტრო უნივერსალური დიზაინის პრინციპის დანერგვას გეგმავს.

3.3.3. პროფესიული სტუდენტების განაწილება ასაკის, სქესისა და სტატუსის მიხედვით 2013-14 წლის მონაცემების მიხედვით საქართველოში რეგისტრირებული სტუდენტებისა (ISCED 6-7) და მოსწავლეების (ISCED 1-3) მხოლოდ 2.6% არის პროფესიული სტუდენტი (ISCED 4-5); ქალი და მამაკაცი სტუდენტების განაწილება დაახლოებით თანაბარია (2.7 % და 2.5%).


განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS)<sup>12</sup> მონაცემთა ბაზის მიხედვით 2014 წელს 1440 პროფესიულ პროგრამაზე 14871<sup>13</sup> სტუდენტი სწავლობს. პროფესიული სტუდენტების 56% სწავლობს რეგიონებში, ხოლო 44% თბილისში მდებარე სასწავლებლებში. საქართველოს კანონმდებლობა პროფესიული განათლების შესახებ არ ანსხვავებს დაწყებით და განგრძობით პროფესიულ განათლებას, ამდენად ეს არის სტუდენტების საერთო რაოდენობა ყველა ტიპის პროფესიულ პროგრამაზე.

დიაგრამა 1 აჩვენებს, რომ ყველაზე მაღალი 15-20 წლის ასაკის პროფესიული სტუდენტების რაოდენობაა და მათი რაოდენობა მკვეთრად მცირდება 20 - 24 წლის ჯგუფის შემდეგ, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში განათლების მიღების თვალსაზრისით პოზიტიური ფაქტი არ არის. ზოგადად, საქართველოში მეტი აქცენტი კეთდება სკოლის შემდგომ პროფესიულ განათლებაზე (დაწყებითი პროფესიული განათლება) და ნაკლებად - შემდგომ პროფესიულ განათლებაზე ან ზრდასრულთა განათლებაზე.

12 2012 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფარგლებში შეიქმნა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა; EMIS პასუხისმგებელია განათლების სფეროში სხვადასხვა ინდიკატორების მიხედვით მონაცემების შეგროვებაზე, რომელსაც სამინისტრო მონიტორინგისა და შეფასებისათვის იყენებს.

13 მხოლოდ საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს მოეთხოვებათ მონაცემების მიწოდება EMIS -თვის. კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები ნებაყოფლობით გადასცემენ მონაცემებს. ამიტომ, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაძლოა ზუსტი არ იყოს.

ნახ. 1. პროფესიული სტუდენტების ასაკობრივი განაწილება (დაიგრამა აღებულია ‘ტორინო საქართველო -2014’ ანგარიშიდან).



პროფესიულ განათლებაში ქალი სტუდენტების რაოდენობა უმნიშვნელოდ დაბალია, ვიდრე მამაკაცების (48.4% და 51.6%). ამდენად, პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გენდერული ბარიერი არ ფიქსირდება. მეტი ანალიზია საჭირო კონკრეტული პროფესიების დონეზე, რაც ხშირად გენდერული სტერეოტიპების გავლენით იყოფა “ქალებისათვის და მამაკაცებისათვის” ტიპურ პროფესიებად; ასევე მეტი ანალიზია საჭირო მოწყვლადი ჯგუფების დონეზე, რადგან მაგ. ეროვნულ უმცირესობებთან გოგონების სწავლის სერიოზული ბარიერები არსებობს.

2015 წლის 12 იანვრის Worknet-ის მონაცემების მიხედვით დარეგისტრირებულ 33 358 სამუშაოს მაძიებლიდან 6841-მა (20.5%) გამოთქვა სურვილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის. ეს კურსებია: ბუღალტერია, ბანკის ოპერატორი, ბიზნესის ადმინისტრირება, გიდი, მედდა ექთანი, ვიზაჟისტი, კულინარია, სტილისტი, კომპიუტერული პროგრამები, და ნებისმიერი პროგრამა სადაც არის დასაქმების პერსპექტივა. ამ პირთა ასაკი ვარიირებს 18 – 60 წლამდე; მათ შორის 66% ქალია, ხოლო 34% -კაცი. ჯერ-ჯერობით მსურველთა გადამზადება არ დაწყებულია.

სწავლის პროცესში პროფესიული სტუდენტები არ თავისუფლდებიან სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან. პროფესიული სასწავლებლები სტუდენტებს არ სთავაზობენ მოსამზადებელ კურსებს ქართულ ენაში (როგორც ეს უნივერსიტეტებშია), რაც ხელს უშლის ეროვნული უმცირესობებისა და რეპატრირებული მესხების სწავლას.

პროფესიულ განათლებაში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჩართულობა საქართველოში არ არსებობს ერთიანი სტატისტიკა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ, თუმცა EMIS ბაზა მოიცავს მაჩვენებლებს შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: სოციალურად დაუცველი პირები, საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები პირები და დევნილები.

მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობა პროფესიული განათლების სისტემაში 2013 წელთან შედარებით შემცირებულია. 2014 წლის მონაცემით პროფესიული სტუდენტების 5.1% სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან არის, როდესაც ეს მაჩვენებელი 2013 წელს 20.9% იყო; 1.2% დევნილია (2013-4.3%); სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების რაოდენობა გაზრდილია და შეადგენს 1.5% (2013 - 0.5%). საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან მიმართებაში პოზიტიური ცვლილება ფისირდება 2010 წლიდან. 2012 წელს

პროფესიულ სასწავლებლებში 22 საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი და/ან შშმ პირი სწავლობდა. 2014 წლის მონაცემების მიხედვით საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა რაოდენობა 203-მდე გაიზარდა. თუმცა ვინაიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა (მაგალითად 15-70 ასკობრივი ჯგუფი) მცირეა, ამდენია შეიძლება ითქვას რომ ჯერ კიდევ ხელმისაწვდომობის პრობლემა დგას. EMIS ბაზა არ იძლევა სტუდენტების დიფერენცირების საშუალებას სხვა მახასიათებლების მიხედვით.

ცხრილში #1 მოცემულია სოციალურად დაუცველი სტუდენტების, დევნილებისა და საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების რაოდენობა 2012-2014 წლებში პროფესიულ პროგრამებზე დარეგისტრირებული და ჩარიცხული სტუდენტების მიხედვით საჯარო კოლეჯებში.

კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეგისტრირებული აპლიკანტების თითქმის 100% ირიცხება სასწავლებლებში (ტორინო ანგარიში, 2014), ხოლო კონკურსი მაღალია საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2012 წელს ჩაირიცხა რეგისტრირებულ სტუდენტთა 98%, 2013 წელს 41%, ხოლო 2014 წელს 58%. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა იყოს დაფინანსების პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ საჯარო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტებს აფინანსებს. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წელს რეგისტრირებული აპლიკანტების დაახლოებით 21% საჯარო კოლეჯებში გამოცდაზე არ გამოცხადდა და ამდენად, ვერც ჩაირიცხა საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტუდენტებიდან სტუდენტი გახდა რეგისტრირებულთა 71%, დევნილთაგან 72%, ხოლო საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთაგან 92%. რეგისტრირებულთა დიდი ნაწილი გამოცდაზე არ გამოცხადებულა.

ცხრილი 1. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის წილი დარეგისტრირებულ და ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს შორის საჯარო პროფესიულ კოლეჯებში<sup>14</sup>

| წელი | რეგისტრანტის რაოდენობა სულ | სოციალურად დაუცველი | ლტოლვილი   | საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები |
|------|----------------------------|---------------------|------------|---|
| 2014 | 16219                      | 671 (4.1%)          | 144 (0.9%) | 152 (0.9%)                              |
| 2013 | 13036                      | 2050 (15.7%)        | 443 (3.4%) | 58 (0.4%)                               |
| 2012 | 5127                       | 1945 (37.9%)        | 60 (1.2%)  | 3 (0.2%)                                |

<sup>14</sup> მონაცემებში გაერთიანებულია არა მხოლოდ პირველად ჩარიცხული აბიტურიენტების რაოდენობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არამედ ის სტუდენტებიც, რომლებიც ერთი დონიდან მეორეზე გადავიდნენ. კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ნებაყოფლობით აწვდიან ბაზას მონაცემებს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტების რეგისტრაციის შესახებ; ასე, რომ შეიძლება ის ზუსტი არ იყოს, თუმცა მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის კერძო სასწავლებლებში სტუდენტების ჩარიცხვის პროპორციის შესახებ.

| წელი | სტუდენტთა რაოდენობა სულ | სოციალურად დაუცველი | ლტოლვილი   | საგანმანათელო საჭიროების მქონე პირები |
|------|-------------------------|---------------------|------------|---------------------------------------|
| 2014 | 9363                    | 477 (5.1%)          | 108 (1.2%) | 140 (1.5%)                            |
| 2013 | 8345                    | 1745 (20.9%)        | 356 (4.3%) | 45 (0.5%)                             |
| 2012 | 5035                    | 1909 (37.9%)        | 59 (1.2%)  | 3 (0.1%)                              |

ცხრილი #2 გვიჩვენებს ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობას მონყვლადი ჯგუფების მიხედვით კერძო სასწავლებლებში. საჯარო და კერძო სასწავლებლებს შორის განსხვავება უფრო დიდი იყო 2012-13 წლებში სოციალურად დაუცველებთან დაკავშირებით, თუმცა ეს განსხვავება 2014 წელს შემცირდა. ამჟამად კერძო კოლეჯში უფრო მეტი იძულებით გადაადგილებული პირი სწავლობს და გაცილებით ნაკლები საგანმანათელო საჭიროების მქონე პირი.

ცხრილი 2. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის წილი დარეგისტრირებულ და ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს შორის კერძო პროფესიულ კოლეჯებში

| წელი | სტუდენტთა რაოდენობა სულ | სოციალურად დაუცველი | ლტოლვილი   | საგანმანათელო საჭიროების მქონე პირები |
|------|-------------------------|---------------------|------------|---------------------------------------|
| 2014 | 5508                    | 173 (3.1%)          | 184 (3.3%) | 41 (0.7%)                             |
| 2013 | 8485                    | 439 (5.2%)          | 184 (2.2%) | 10 (0.1%)                             |
| 2012 | 5717                    | 288 (5.0%)          | 110 (1.9%) | 3 (0.1%)                              |

წყარო: EMIS ბაზა 2014

2012-დან 2014 წლამდე იზრდება საჯარო კოლეჯებში ჩარიცხულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა, თუმცა რეგისტრირებულებთან შეფარდებით მცირდება; 2014 წელს კერძო კოლეჯებში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა მცირდება, რაც შესაძლოა დაფინანსების საკითხს უკავშირდებოდეს. განსაკუთრებით მაღალია რეგისტრირებულთა და ჩარიცხულთა შორის განსხვავება საჯარო კოლეჯებში 2013-2014 წელს, რაც დამატებით განხილვას საჭიროებს.

### 3.3.4. პროფესიული განათლების შესახებ ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება

პროფესიული განათლების ერთ-ერთი გამოწვევაა ინფორმაციის ნაკლებობა პროფესიული განათლების, პროგრამებისა და მიმდინარე რეფორმების შესახებ. ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებით ვრცელდება, თუმცა ეს მიდგომები ხშირად ნაკლებად სისტემატურია; მეტი აქცენტი ინფორმაციის ელ. ფორმებზე გავრცელებაზე კეთდება; შეზღუდული რესურსების თუ შესაძლებლობების გამო ნაკლებია პირისპირ ინფორმაციის გავრცელება, კონსულტაციების შესაძლებლობა, სასკოლო ვიზიტები, სატელევიზიო, რადიო გადაცემები თუ დისკუსიები პროფესიული განათლების შესახებ. შესაბამისად ვერ ხერხდება სხვადასხვა ჯგუფის მოსახლეობის ინფორმირება, როგორებიც არიან უმუშევრები, მაღალმთიანი მოსახლეობა, ეროვნული უმცირესობები, მოსახლეობის ნაკლებად შეძლებული ფენები და ა.შ.



2013 წელს ევროკავშირის მხარდაჭერით მომზადდა “დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლების სტრატეგია საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში”; სტრატეგია ხაზს უსვამს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას მათი საჭიროებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. განხორციელებულია მისი ცაკლეული აქტივობები.

პროფესიული განათლების შესახებ ინფორმირების ძირითადი წყაროებია:

1. სამინისტროსა და მისი სააგენტოების ვებ-გვერდები: [www.mes.gov.ge](http://www.mes.gov.ge); [www.eqe.ge](http://www.eqe.ge); [www.tpdg.ge](http://www.tpdg.ge), [www.emis.ge](http://www.emis.ge)
2. საინფორმაციო პორტალი [www.prof.ge](http://www.prof.ge); პორტალზე თავმოყრილია ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიული სასწავლებლების მიერ შემოთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამების, კურსებისა და კვალიფიკაციების შესახებ;
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებ-გვერდები; პროფესიული სასწავლებლების პროფორიენტაციის სამსახურის მიერ კონსულტაციის და სწავლის პროცესში გავრცელებული ინფორმაცია; თუმცა გეოგრაფიული ბარიერების გამო სასწავლებლების მიერ ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობა შეზღუდულია;
4. მანდატურის სამსახურის პროფორიენტაციის ცენტრები; მათი მიზანია აბიტურიენტთათვის ინფორმაციის მიწოდება და მათთვის რეგისტრაციის პერიოდში დახმარება;
5. ასევე, პერიოდულად ხდება პროფესიული განათლების რეკლამირება და პოპულარიზება ისეთი ღონისძიებების მოწყობით, როგორცაა World Skills<sup>15</sup>, Job-fairs. ამგვარი ღონისძიებები ინფორმირების თვლასაზრისით მნიშვნელოვანია. ასევე ერთად უყრის თავს დამსაქმებლებს, დაინტერესებულ მხარეებს, პოტენციურ სტუდენტებს.
6. შრომის ბაზრის მართვის ახალი საინფორმაციო პორტალი [www.worknet.gov.ge](http://www.worknet.gov.ge) არის მექანიზმი<sup>16</sup>, რომლის საშუალებითაც გროვდება და ანალიზდება ინფორმაცია და ძირითადი ტენდენციები შრომის ბაზრის შესახებ (რათა განვითარდეს შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა და შემცირდეს უმუშევრობის დონე).

### 3.3.5 სწავლების პროცესი

2012-2013 წლიდან 2013-2014 წლამდე პროფესიული სტუდენტების მიტოვების საშუალო მაჩვენებელი 49.7%-ით შემცირდა; ექსპერტთა მოსაზრებით ეს შესაძლოა პროფესიული ტესტირებით იყოს განპირობებული, რადგან ის ამცირებს იმ სტუდენტების ხელმისაწვდომობას, რომელთა შორის სავარაუდოდ შეიძლება მაღალი იყოს მიტოვების მაჩვენებელი. მიტოვების მაჩვენებლის შემცირება თავისთავად დადებითი ტენდენციაა, თუმცა ცხადია ნეგატიურია თუ ეს ძირითადად მოწყვლადი ჯგუფების ხელმისაწვდომობის შემცირების ხარჯზე ხდება. სხვა მიზეზი შეიძლება იყოს პროფესიული ორიენტაციისა და საინფორმაციო კამპანიის დანერგვა პროფესიული სტუდენტებისათვის, რაც თავისთავად დადებით ტენდენციას წარმოადგენს. ამ საკითხს დამატებითი კვლევა სჭირდება.

<sup>15</sup> WorldSkills-საქართველო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთობლივი პროექტია. პროექტს აფინანსებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).

<sup>16</sup> [www.worknet.gov.ge](http://www.worknet.gov.ge) საშუალებას აძლევს ადამიანებს განათვსონ კარიერასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ინტერესები; ასევე იძლევა ვაკანსიებზე ხელმისაწვდომობას და პროგრამებთან დაკავშირების შესაძლებლობას. სისტემა საშუალებას იძლევა დამსაქმებლებს მოიძიონ საშუაოს მაძიებლები.

2013 წელს 17 საჯარო კოლეჯის 424 მასწავლებელმა გაიარა ტრენინგი (3 დღიანი ტრენინგი, 17 სთ) ინკლუზიური განათლების კუთხით, ხოლო 2014 წელს - 88 მასწავლებელმა.

პროფესიულ საგანმანათლებლო სასწავლებლებში სწავლების მიდგომები ძირითადად პირისპირ სწავლებით შემოიფარგლება; არ არის განვითარებული დისტანციური სწავლება, ონ-ლაინ კურსები, მობილური კურსები საჭიროებიდან გამომდინარე და ა.შ.

### 3.3.6. დაფინანსება

2013 წელს პროფესიული განათლების საერთო დანახარჯი მშპ-ის 0.05%-ს შეადგენდა. 2014 წლის ბიუჯეტის მიხედვით პროფესიული განათლების დანახარჯების წილი 2.5-ჯერ გაიზარდა.

2013 წლის სექტემბერში ძალაში შევიდა დაფინანსების ახალი წესი (მთავრობის დადგენილება # 244, 2013წ). არსებობს სამი სახის დაფინანსება, რომელსაც იღებენ სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები; ეს სახეებია:

- ვაუჩერული დაფინანსება - ფინანსდებიან ინდივიდუალური სტუდენტები, რომლებიც წარმატებით გაივლიან ერთიან პროფესიულ მისაღებ გამოცდებს და გადალახავენ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს;
- პროგრამული დაფინანსება - ფარავს საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ ხარჯებს;
- მიზნობრივი დაფინანსება - მოიცავს განსაკუთრებით საჭირო პროგრამებს და დაფინანსება გაიცემა ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე.

სახელმწიფო დაფინანსებას სახელმწიფო კოლეჯები იღებენ. პროფესიული განათლების სტუდენტები არ იღებენ სტიპენდიებს.

## 3.4. კვლევის შედეგები ჩალრმავებული ინტერვიუების მიხედვით

ჩალრმავებულმა ინტერვიუმ მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის მრავალმხრივი ბარიერები გამოავლინა, ბარიერები განხილულია გაერთიანებული სახით და ცალკეული ჯგუფების მიხედვითაც. ამ თავში ასევე მოკლედ არის განხილული უმუშევრობის პრობლემა მოწყვლადი ჯგუფებისათვის და პროფესიული განათლების მიმართ დამოკიდებულება.

### 3.4.1 უმუშევრობის პრობლემა მოწყვლად ჯგუფებს შორის

უმუშევრობა მთლიანად მოსახლეობის პრობლემას წარმოადგენს და მთავრობის მიერ ის აღიარებულია ქვეყნის ყველაზე დიდ გამოწვევად, მაგრამ უმუშევრობის მასშტაბი ბევრად უფრო დიდია, ხოლო შედეგები გაცილებით მძიმე მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

პრობლემა განსაკუთრებით არის გამოკვეთილი შემდეგ ჯგუფებს შორის: დევნილები, სოციალურად დაუცველები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები/საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები, ეროვნული უმცირესობები, ვეტერანები.

- \* დევნილებს შორის უმუშევრობა სერიოზული პრობლემაა; იგივე ითქმის სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე, თუმცა ამ უკანასკნელთ არასტაბილურ

დასაქმებას სოციალური შემწეობის ქონა ურჩევნიათ. ამიტომ, ხშირად არც ეძებენ დასაქმებას თუ სტაბილურობის გარანტია არ აქვთ.

- \* შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები/საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები  
შეზღუდული შესაძლებლობების ფორმის მიუხედავად (ფიზიკური, სენსორული თუ გონებრივი), უმუშევრობა ერთნაირად აქტუალური პრობლემაა. სხვა მონყვლადი ჯგუფების მსგავსად უმუშევრობა მათ შორის გავრცელებულია, თუმცა დასაქმების თითქმის ნულოვანი პერსპექტივა აქვთ.

არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რამდენი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი/საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირია დასაქმებული. თუ დავეყრდნობით რეალობას - მათი რიცხვი ძალიან მცირეა და მათი დასაქმება, როგორც წესი, დამსაქმებლის კეთილ ნებასა და ჰუმანიზმზეა დამოკიდებული.

ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, თუ რატომ რჩებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები/საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები დასაქმების ბაზრის მიღმა არის მათი პროფესიული არაკომპეტენტურობა. ეს კი უმრავლეს შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების/საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიული არაკომპეტენტურობა გამოწვეულია არა მათი უუნარობით აითვისონ საჭირო პროფესიული ცოდნა - უნარები, არამედ უფრო მეტად იმ ბარიერებით, რომლებიც არსებობს დღევანდელ საგანმანათლებლო სისტემაში.

- \* რეპატრირებულ მესხებს შორის უმუშევრობა შედარებით ნაკლებად პრობლემურია, რადგან ისინი ძირითადად სოფლის მეურნეობით არიან დაკავებულნი და ფაქტობრივად თვით-დასაქმებულები არიან. თურქული ენის ცოდნის გამო ისინი საქართველოში ადვილად საქმდებიან თურქულ ფირმებში ან სეზონურად მიდიან თურქეთში სამუშაოდ.
- \* ეროვნული უმცირესობებისათვის დიდ პრობლემას წარმოადგენს უმუშევრობა, როგორც ჯავახეთში სომხურ მოსახლეობასთან, ასევე შიდა ქართლის აზერბაიჯანელ მოსახლეობასთან. სამუშაო ადგილების არარსებობის გამო ახალგაზრდა მამაკაცები ახალქალაქიდან ხშირად სამუშაოდ რუსეთში მიდიან.
- \* ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები - ზრდასრულ ქუჩაში მაცხოვრებელ ბავშვებს მუშაობის სურვილი გარკვეულწილად აქვთ მაგრამ არ აქვთ დასაქმებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები. გარდა ამისა, ის სამუშაო, რომელიც ლეგალურია და მათ შეუძლიათ შეასრულონ, გაცილებით ნაკლები შემოსავლის მომტანია, ვიდრე ის საქმე, რითიც ისინი ქუჩაში არიან დაკავებულნი - მაგალითად, პროსტიტუცია. თითქმის შეუძებელია იმ პირთა ნორმალური ცხოვრებისკენ დაბრუნება, რომლებიც 8-10 წელია ქუჩაში არიან და ვიზუალურად არააზრის უზრუნია; ამ ტენდენციას კვლევებიც ადატურებს. მათ, ვინც ქუჩაში ახლად გასულია, კიდევ აქვთ შესაძლებლობა, იმ შემთხვევაში თუ მათთან დროზე დაიწყება მუშაობა.

დასაქმების სურვილი აქვთ - თუმცა, როგორც რეალობა აჩვენებს მხოლოდ სიტყვიერი; იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხერხდება მათი დასაქმება, ისინი დიდი ხანი არ ჩერდებიან, რადგან მეტი შემოსავალი ქუჩიდან აქვთ.

- ვეტერანები- ვეტერანებში უმუშევრობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. გარდა არსებული სოციალური ფონისა, ვეტერანების დასაქმების პრობლემები მათ სოციალურ იზოლაციას, დაბალ თვითშეფასებასა და დაბალ აქტივობას უკავშირდება.

ვეტერანების მნიშვნელოვანი ნაწილი შრომითი პოტენციალის მატარებელია; ვეტერანთა დასაქმება არა მარტო მათი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის ეფექტური ინსტრუმენტია, არამედ, განათლება ხელს უწყობს ვეტერანთა შრომითი პოტენციალის გამოყენებას, ამცირებს მათ შენახვაზე სახელმწიფო ხარჯებს, ზრდის მათი ოჯახების შემოსავალს და ამცირებს სიღარიბის რისკს.

### 3.4.2 პროფესიული განათლების მიღების მიმართ დამოკიდებულება- მოტივაცია

კვლევის მიხედვით, მოწყვლადი ჯგუფების უმეტესობას დადებითი დამოკიდებულება აქვს პროფესიული განათლების მიღების მიმართ, თუმცა მათთვის პრიორიტეტი უმაღლესი განათლებაა.

- რეპატრირებულ მესხებს სურთ პროფესიული განათლების მიღება, მათ შორის ქალებს, თუმცა ამაში მათ მრავალი ბარიერი უშლით ხელს.
- იძულებით გადაადგილებულ პირებს სურთ პროფესიული განათლების მიღება უმაღლეს სასწავლებელში ვერ ჩაბარების შემთხვევაში. თუმცა, გალში მცხოვრები მოსახლეობისათვის უმაღლესი განათლება ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან ქართული დიპლომით დასაქმება უჭირთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, პროფესიული განათლებით კი ისინი უფრო ადვილად შოულობენ სამსახურს.
- ერთ-ერთი ექსპერტის მოსაზრებით დევნილებს დადებითი დამოკიდებულება აქვთ პროფესიული განათლების მიმართ, თუმცა უპირატესობას, როგორც ბავშვები, ასევე მათი მშობლები უმაღლეს განათლებას ანიჭებენ.

პროფესიის დაუფლების მსურველები ძირითადად 25-40 წლის ადამიანები არიან. ქალებს უფრო ისეთი პროფესიების დაუფლება სურთ, რომლითაც ისინი სახლში შესძლებენ მუშაობას, მაგ. კერვა. ზოგადად პროფესიის დაუფლების მსურველთა შორის ქალების წილი უფრო დიდია.

- ეროვნული უმცირესობები. ქვემო ქართლის ეროვნულ უმცირესობებს სურთ პროფესიული განათლების მიღება, განსაკუთრებით 25-27 წლის ადამიანებს, რომლებიც ძირითადად უმუშევრები არიან, თუმცა დამთავრებული აქვთ უნივერსიტეტები. მათ უნდათ ისეთი პროფესიის დაუფლება, რომელიც მათ სამუშაოს შოვნის შესაძლებლობას მისცემს.

ბევრ ქალს უნდა პროფესიის შეძენა, განსაკუთრებით მათ, ვინც გაცილებულია ქმარს ან მარტოხელა დედაა. იმის გამო, რომ ვერ საქმდებიან საქართველოში, მათ უცხოეთში წასვლა უხდებათ. პრაქტიკული ცოდნის მიღება, განსაკუთრებით უნდათ ეროვნულ უმცირესობებს. ვისაც ფული აქვთ უმაღლეს განათლებას იღებენ.

- სოციალურად დაუცველ მოსახლეობას სურს პროფესიული განათლების მიღება, იმ შემთხვევაში, თუ ის სტაბილურ დასაქმებას შეუწყობს ხელს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სტაბილური სოციალური შემწეობის მიღება ურჩევიათ.



- სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული ბენეფიციარები- პროფესიული განათლების მიღება საუკეთესო გამოსავალია სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული ბენეფიციარებისათვის. უმაღლესი განათლების პერსპექტივა მათთვის ხშირად ძალზე შეზღუდულია. მნიშვნელოვანია, რომ პროფესიულ განათლებაში მათი ჩართვა 18 წლამდე უნდა მოხდეს.
- ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები. არის შემთხვევები, როდესაც ქუჩაში მცხოვრები ბავშვები ჩაირიცხნენ პროფესიულ სასწავლებელში, თუმცა იქ მხოლოდ ერთი-ორჯერ თუ მივიდნენ, რადგან არ ჰქონდათ სწავლის მოტივაცია. პროფესიული განათლების მიღება მათთვის პრობლემურია, რადგან არ აქვთ საბაზისო განათლება.
- ვეტერანებს დადებითი დამოკიდებულება აქვთ პროფესიული განათლების მიღების მიმართ. ამ ჯგუფის ასაკი ძირითადად 25-50 წელია.

### 3.4.3. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერები

ამ ნაწილში მოკლედ არის განხილული კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი ბარიერები.

#### 1. შესაბამისი განათლების არქონა და პროფესიული განათლების მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის არარსებობა

ამ პრობლემაზე მიუთითებს შემდეგ ჯგუფებთან დაკავშირებით: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები/საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები, ეროვნული უმცირესობები, რეპატრირებული მესხები, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, ვეტერანები.

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები/საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები  
წლების განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების/საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების განათლება ხდებოდა იმ სისტემით, რომელიც მათ საჭირო საბაზისო განათლებით ვერ უზრუნველყოფდა. მაგალითად, სმენადაქვეითებული და ყრუ მოსწავლეების სწავლება სკოლაში არასწორი მეთოდოლოგიით, მეტყველების თერაპიით, მიმდინარეობდა. ეს მეთოდოლოგია ვერ აძლევდა მოსწავლეებს ჯეროვან განათლებას. აქედან გამომდინარე, მათი უმრავლესობა სკოლას ამთავრებს იმ ცოდნით, რომელიც შემდგომი, პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობას არ იძლევა.

საზოგადოებაში არსებული სტიგმის გამო წლების განმავლობაში ბევრ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე /საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვს არ ჰქონდა საშუალება თანატოლებთან ერთად ესწავლა სკოლაში. მათი უმრავლესობა არ დადიოდა სკოლაში და შესაბამისად, არ აქვთ სკოლის ატესტატი- ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე პირებისთვის. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების/საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების ნაწილს აქვს სპეციალიზირებულ სკოლებში სიარულის გამოცდილება. თუმცა, ბევრი მათგანი სკოლას ისე ამთავრებს, რომ ვერ ახერხებს გამოცდების ჩაბარებას და შესაბამისად, ატესტატის მიღებას. ორივე შემთხვევაში, შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე პირები/საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას მიმართონ არსებულ საგანმანათლებლო სისტემას იმ პროფესიული უნარ-ჩვევების შესაძენად, რომელიც მათ დასაქმების პერსპექტივას მისცემს.

- ეროვნული უმცირესობების შემთხვევაში, განსაკუთრებით ქალებს, არ აქვთ ატესტატი ადრე გათხოვების და სკოლის მიტოვების გამო.
- ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები. დოკუმენტაციის არარსებობის პრობლემა თითქმის ყველა კატეგორიის ქუჩის ბავშვებს აქვთ. თუმცა, დღეს პირადობის მოწმობის აღება პრობლემა არ არის, თუ ოჯახს აქვს საჭირო დოკუმენტაცია. პრობლემურია მდგომარეობა მაშინ, როდესაც ოჯახსაც არ აქვს საჭირო დოკუმენტაცია.

საბაზისო ცოდნის არარსებობა იმ 15-16 წლის გოგოებისა და ბიჭების უმრავლესობისათვის პრობლემაა, რომლებიც დიდი ხანია ქუჩაში ცხოვრობენ; მათ არ იციან წერა და კითხვა. მარტივ ანგარიშს ახერხებენ, რადგან ფულთან აქვთ შეხება.

- რეპატრირებულ მესხებს დოკუმენტებთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, რაც მხოლოდ ატესტატს არ ეხება. მე- IX კლასის ატესტატი ძირითადად აქვთ საქართველოში მცხოვრებ მესხებს, თუმცა ყველას არა. ბოლო წლებში ჩამოსულებს მეტად აქვთ დოკუმენტაციის პრობლემა.

2002 წელს ჩამოსულების დიდ ნაწილს აქვს მოქალაქეობის მიღების პრობლემა, ხშირად არა აქვთ დაბადების მოწმობა;

- ვეტერანები - პრობლემაა არა მხოლოდ შესაბამისი საგანმანათლებლო დოკუმენტების არ ფლობა, არამედ აღდგენაც, რადგან ხშირად გასულია 10 და მეტი წელი.

## 2. ოჯახების ფინანსური მდგომარეობა

ფინანსების ნაკლებობაზე, როგორც ბარიერზე მიუთითებს შემდეგ ჯგუფებთან: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე /საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან, სოციალურად დაუცველებთან, სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული ბენეფიციარებთან, ეროვნულ უმცირესობებთან, ვეტერანებთან.

ფინანსების ნაკლებობისას გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები: სწავლის საფასურის გადახდის პრობლემა, ტრანსპორტისა და სახლიდან მოშორებით ცხოვრების საფასური.

- სწავლის საფასური ყველა ჯგუფთან (სადაც სწავლა უფასო არ არის), გარდა რეპატრირებული მესხებისა დასახელდა როგორც პრობლემა, მაშინ როდესაც, ეროვნულმა უმცირესობებმა დასახელეს ცხოვრების საფასურის გადახდის პრობლემა, შშმ/სსმ პირებმა ზოგადად გადაადგილების პრობლემა, ხოლო დევნილმა მოსახლეობამ ყველა პრობლემა ტრანსპორტირების ჩათვლით (სწავლის გადასახადი, საცხოვრებლის გადასახადი, ტრანსპორტირება). განსაკუთრებით მძიმე ფინანსური მდგომარეობა აქვთ კოლექტიურ ცენტრებში ჩასახლებულ დევნილებს. მათ არ აქვთ ფასიან სასწავლებლებში სწავლის შესაძლებლობა. იგივე ითქმის სოციალურ დაუცველ მოსახლეობაზე.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის (2014 წელი) მიერ 246 ვეტერანთან ჩატარებული კვლევის მიხედვით 30% აღნიშნავს, რომ მათი ოჯახის

ეკონომიკური მდგომარეობა ძალიან ცუდია - შემოსავალი კვებაზედაც არ ყოფნით; ხოლო 40% ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას ახასიათებს, როგორც ცუდს - შემოსავალი კვებაზე და ჩასაცემელზე ძლივს ყოფნით.

ის, რომ პროფესიული განათლების მიღება უფასოა ამ ჯგუფებისათვის მნიშვნელოვან შეღავათს წარმოადგენს, თუმცა პროფესიული სასწავლებლების უმრავლესობა ვერ უზრუნველყოფს სხვა რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტებს საცხოვრებლით და სტიპენდიით, ოჯახების უმრავლესობას კი ამ ხარჯების გაღების შესაძლებლობა არ აქვს.

### 3. ინფორმაციის ნაკლებობა

ინფორმაციის ნაკლებობაზე მიუთითებენ შემდეგი ჯგუფები: იძულებით გადაადგილებული პირები, ეროვნული უმცირესობები, სოციალურად დაუცველი პირები, ვეტერანები.

- იძულებით გადაადგილებულ პირებს და ასევე საზღვრის პირას მცხოვრებ მოსახლეობას ინფორმაცია არ აქვს სასწავლებლების, პროგრამების შესახებ; ისინი ფაქტიურად ინფორმაციულ ვაკუუმში არიან, რადგან ბევრ დასახლებაში მობილურიც არ იჭერს.

იძულებით გადაადგილებულ პირებს არ აქვთ ინფორმაცია შრომის ბაზრის შესახებაც. ხშირად ისინი არაადექვატურად აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებსაც.

- კომპაქტურად განსახლებულ ეროვნულ უმცირესობებს და სოციალურად დაუცველ მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია პროფესიული სასწავლებლების, კურსების შესახებ; სოც. დაუცველთა დიდ ნაწილს ინტერნეტზე ხელი არც მიუწვდება; თუმცა, თბილისში მაცხოვრებელ ეროვნულ უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები უკეთ არიან ინფორმირებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე.
- ვეტერანებს არ მიუწვდებათ ხელი ინფორმაციაზე, რომელიც ძირითადად ინტერნეტმედიის საშუალებით ვრცელდება; გამოიყენება სმეს-ით ინფორმაციის გავრცელების საშუალებაც, მაგრამ ხშირად ესეც არასაკმარისია; მათ არ აქვთ ინფორმაცია პროფესიული განათლების სისტემაზე, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, საგანმანათლებლო პროგრამებზე, იმაზე რომ სწავლა უფასოა.

### 4. გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა

ამ ბარიერზე მიუთითებენ ქვემო ქართლში და ახალქალაქში მაცხოვრებელი ეროვნული უმცირესობები, სოციალურად დაუცველები, რეპატრირებული მესხები და ვეტერანები.

ტერიტორიული სიახლოვე განათლების ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს; ის ასევე უკავშირდება ხარჯების შემცირებას. რეგიონში სასწავლებლების ნაკლებობა ეროვნული უმცირესობებისათვის პროფესიული განათლების ბარიერს ქმნის. სომხურენოვანი მოსახლეობა დაბრკოლებად ასახელებს თბილისთან სიშორეს და ამჯობინებს სწავლის სასომხეთში გაგრძელებას (ტაბატაძე & გორგაძე, 2013). ამდენად ეროვნულ უმცირესობათა განსახლებების მახლობლად



პროფესიული სასწავლებლების ფუნქციონირება ხელს შეუშლის მოსახლეობის საქართველოდან გადინებას.

სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ხელი არ მიუწვდება საცხოვრებლიდან მოშორებით მდებარე სასწავლებლებზე. გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა პრობლემა ვეტერანებისათვისაც, რომელთა უმეტესობა რეგიონებში ცხოვრობს.

#### 5. ოჯახური ნორმები, წესები და დამოკიდებულებები

ეს ბარიერი მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე /საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის, ეროვნული უმცირესობებისათვის, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის, რეპარტირებული მესხებისათვის და ვეტარებისათვის, თუმცა დამოკიდებულებები ერთმანეთისაგან განსხვავდება.

“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე /საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს მშობლები ჰიპერმზუნველობით ექცევიან - არ უშვებენ ბავშვებთან სათამაშოდ, რომ ვინმემ არ დაჩაგროს ან არ დასცინოს. ეს დამოკიდებულება მნიშვნელოვნად უშლის ხელს ბავშვებს განათლების მიღებაში, შემდგომ კი დასაქმებასა და ზოგადად, სოციალურ ინტეგრაციაში.

ასევე, არსებობენ მშობლები, რომლებიც თვლიან, რომ “მათ შშმ/სსმ ბავშვს მაინც არაფერი ეშველება და მასზე ყველა რესურსის დახარჯვა ფუჭია, ვის მოუნდება მისი დასაქმება?!“. ცხადია, ორივე დამოკიდებულება არაადეკვატურია და მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს შშმ/სსმ პირთა სოციალური ინკლუზიისთვის.

“ რეპარტირებული მესხების შემთხვევაში მშობლებს ასევე არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად შვილებისათვის განათლების მიღება. ბიჭების შემთხვევაში მშობლებს სჭირდებათ მუშახელი, ხოლო გოგონების შემთხვევაში მათი გათხოვება მიაჩნიათ უფრო მიზანშეწონილად. რეპარტირებული მესხების მშობლები არ უშვებენ შვილებს სასწავლებლად.

“ ეროვნული უმცირესობები - გოგოებს არ უშვებენ სხვაგან საცხოვრებლად, ხოლო ახლომხლო სასწავლებლები არ არის. მათთვის არ არის მისაღები, რომ გოგო ოჯახიდან მოშორებით ცხოვრობდეს. მათ ხშირად სკოლაშიც არ უშვებენ.

“ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები. ამ ბავშვებზე მოძალადეები ძირითადად მშობლები არიან. ისინი აიძულებენ მათ ქუჩაში მუშაობას. ამიტომ, ასეთი მშობლები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან მათი შვილების ჩართვას დღის ცენტრებში, სხვადასხვა აქტივობებში - რადგან ამით ისინი მუშახელს კარგავენ. შესაბამისად, თუ არ იქნა მიღებული და ამოქმედებული კანონმდებლობა, რომელიც მშობლების ამგვარ ქმედებას ზღუდავს, მხოლოდ სოციალური პროგრამები და სერვისები ამ ბავშვების მდგომარეობას ვერ შეცვლის.

ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვები ქუჩაში ოჯახში არსებულ მძიმე ვითარებას გამოექცნენ (მშობლების ალკოჰოლიზმი, ნარკომანია). განსხვავებული მდგომარეობაა ბოშებში - ისინი თვლიან რომ ქუჩაში ცხოვრება ეს მათი ტრადიციული ცხოვრებისეული გზაა და კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან იმას, რომ მათმა შვილებმა განათლება მიიღონ.

- ვეტერანების ხშირად მისაღები არ არის ოჯახისგან მოშორებით, სხვა ქალაქში ცხოვრობა; არის შემთხვევები, როდესაც სასწავლებელში არ უშვებენ ოჯახის წევრები.

#### პირადი დამოკიდებულებები

ზრდასრულ დევნილებს მიაჩნიათ, რომ მათი ასაკი სწავლასთან წინააღმდეგობაში მოდის.

#### 5. ქართული ენის არცოდნა

ენის პრობლემა დასახელდა ეროვნული უმცირესობების, იძულებით გადაადგილებული პირების, რეპატრორებული მესხების და ვეტერანების ჯგუფებში.

- რეპატრორებული მესხების შემთხვევაში ენა პრობლემაა, განსაკუთრებით ახლად ჩამოსულებისათვის; თუმცა, 5 წლის წინ ჩამოსულებსაც აქვთ ენის პრობლემა.
- დევნილების შემთხვევაში, მაგ., გალის სკოლის მოსწავლეების ნაწილი სათანოდად ვერ ფლობს ქართულ ენას. ენის ცუდად ცოდნის გამო ისინი ვერ აბარებენ ეროვნულ გამოცდებს, განსაკუთრებით უჭირთ უნარ-ჩვევების ტესტების ჩაბარება.
- ეროვნული უმცირესობები მიუთითებენ ენის პრობლემაზე. თბილისში მაცხოვრებლებმა ენა იციან, თუმცა გამოცდისათვის ეს მაინც ბარიერია. ეროვნული უმცირესობები ვერც შეძლებენ სწავლას, თუ არ უმაღლესის მსგავსად მოსამზადებელი კურსები არ იქნება ქართულ ენაში.
- ვეტერანები (რომელთაც რუსულენოვანი განათლება აქვთ მიღებული) მიუთითებენ ენის პრობლემაზე; მათთვის ენა პრობლემაა როგორც მისაღები გამოცდების ჩაბარების, ასავე სწალის თვალსაზრისით.

#### 6. ტესტირება

საერთო პროფესიული ტესტირების პრობლემა დასახელდა შემდეგ ჯგუფებთან: ეროვნული უმცირესობები, სოციალურად დაუცველები, სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული პირები, იძულებით გადაადგილებული პირები და ვეტერანები.

- ეროვნულ უმცირესობებთან ენის ცუდად ცოდნის გამო, ერთ-ერთი ექსპერტის მითითებით, უნარ-ჩვევების გამოცდა უნდა იყოს გამარტივებული. ბევრს უნდოდა პროფ. სასწავლებელში ჩაბარება, მაგრამ ტესტირება ვერ გაიარეს ქართულ ენაზე.
- დევნილებთან, სოციალურად დაუცველებთან, სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსულმა პირებთან ტესტირება დაასახელეს ბარიერად არასაფუძვლიანი განათლების გამო. მოსწავლეებს შიში აქვთ ტესტირების მიმართ, რადგან არც ცოდნა აქვთ და არც შესაბამისი გამოცდილება.
- ვეტერანების უმეტესობას (ძირითადად უფრო ასაკიანი კატეგორია) უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ტესტირების მიმართ; ისინი, ფიქრობენ, რომ ტესტები მაინც სპეციფიკურია. ზოგს კომპიუტერის გამოყენების პრაქტიკაც არ აქვს.

#### 7. დროის ნაკლებობა

დროის ნაკლებობაზე ძირითადად მიუთითებს ზრდასრული მოსახლეობა, განსაკუთრებით კი შემდეგი ჯგუფები:

- იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც მუშაობენ და სწავლის დრო

აღარ რჩებათ.

- \* სოციალურად დაუცველები, განსაკუთრებით იმათ, ვისაც ბავშვის დამტოვებელი არ ჰყავთ, უჭირთ კურსებზე დასწრება.
- \* ვეტერანებს უჭირთ სახლიდან გასვლა, რადგან ვერ ტოვებენ შვილებს/ავადმყოფ ოჯახის წევრს.

#### 8. არაფორმალური განათლება

კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეებს და მათ მშობლებს ხშირად ურჩევიათ განათლების მიღება არაფორმალური გზით, მაგალითად შეგირდობის გზით.

- \* ეროვნული უმცირესობები - რაიონში დიდი მოთხოვნაა პარიკმახერებზე, კოსმეტოლოგებსა და ავტომობილების შემკეთებლებზე. ახალგაზრდები ფულს იხდიან და შეგირდად უდგებიან ხელოსნებს. ახალქალაქში ეკლესიამ გახსნა კურსები/სასწავლებლები, სადაც ასწავლიან ფარდაგების ქსოვას და თექის გაკეთებას.

#### 10. დასაქმების პერსპექტივა პროფესიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

მონყვლადი ჯგუფების მითითებით, პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარების მოტივაცია მნიშვნელოვანწილად არის განსაზღვრული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დასაქმების პერსპექტივებით. ხშირად ისინი ამ პერსპექტივას ვერ ხედავენ.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი დამატებითი ბარიერები:

#### ა) ფიზიკური გარემოს ხელმიუწვდომობა

დღესდღეობით ქვეყანაში არსებული ფიზიკური სივრცე კვლავ წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციისთვის. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში რამდენიმე პროფესიულ სასწავლებელში დაწყებულია ფიზიკური სივრცის ადაპტირების პროცესი, თუმცა ეს მხოლოდ ერთეული შემთხვევებია. ძირითადად, არსებული პროფესიული სასწავლებლების შენობები და მიმდებარე ტერიტორია არ პასუხობს სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირთა საჭიროებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასწავლებლებში შექმნილია ინკლუზიური გარემო, სასწავლებლამდე მისვლა კვლავ მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს, რადგან საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე /საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საჭიროებებს.

#### ბ) პროფესიულ სასწავლებლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის სისტემის ხარვეზები.

(1) პროფესიულ სასწავლებელში ინკლუზიური სწავლების პროცედურები არ არის გაწერილი კანონში და მარეგულირებელ დოკუმენტებში. ის რომ პროფესიულ სასწავლებლებში სტუდენტმა შეიძლება ისწავლოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით, ლეგალურ დოკუმენტებში არსად არ არის დაფიქსირებული. თუმცა, როდესაც ამის საჭიროება არსებობს, პროფესიულ სასწავლებლებში სტუდენტებს სწორედ ინდივიდუალური გეგმის მიხედვით ასწავლიან.

(2) ბარიერს წარმოადგენს პროფესიული ორიენტაცია და პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხვა, რეგისტრაცია. განათლების სამინისტრომ უზრუნველყო, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე /საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები პროფესიულ პროგრამებზე ალტერნატიული გზით ირიცხებიან. არსებული რეგულაციის მიხედვით, საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ახლაგზარდები პროფესიაში სამდღიან მოსინჯვას გადიან; მათ შუემლიათ დაასახელონ სამი პრიორიტეტული პროფესია და თითო-თითო დღე მოსინჯონ ეს დასახელებული პრიორიტეტები. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ამ სამი პრიორიტეტის ამორჩევა შეიძლება მხოლოდ ერთი მიმართულებით. ბაზის მოუქნებლობის გამო საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი იძულებულია ერთი სპეციალობის შიგნით აირჩიოს პრიორიტეტები, რაც ზღუდავს მას და შეიძლება არასწორი პროფესიული არჩევანის გააკეთების საფუძველი გახდეს.

(3) პრიორიტეტული პროფესიის მოსინჯვა ძალიან ეფექტურია, მაგრამ ამ მიზნისთვის გამოყოფილი დრო არასაკმარისია. საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს უნდა ჰქონდეს მეტი დრო იმისთვის, რომ რამდენიმე ვიზიტი განახორციელოს და დარწმუნდეს, რომ არჩეული პროფესია შეესაბამება მის მოლოდინებსა და ინტერესებს.

(4) რეგისტრაციის პროცესი დროში ძალიან სწრაფად ებმის ეროვნულ გამოცდებს - ძალიან სწრაფად ხდება სასწავლო პროცესების მართვა, ძალიან მოკლე დროა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის შესაფასებლად; იმისთვის, რომ ახალგაზრდა ამ სისტემაში მოხვდეს, პირველ რიგში ის უნდა შეაფასოს მულტიდისციპლინურმა გუნდმა, რომ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტატუსი განსაზღვროს. ამას დრო სჭირდება. არსებული რეგულაციებით, გუნდს ეძლევა ძალიან მცირე დრო სამუშაოდ. ამიტომ არის შემთხვევები, როდესაც დასკვნა არასათანდოდ არის მომზადებული. სწავლის მსურველების რაოდენობის ზრდასთან ერთად ეს პრობლემა კიდევ უფრო სერიოზულ ხასიათს მიიღებს.

გ). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების/საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების დასაქმების უპერსპექტივობის აღქმა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე /საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები და მათი ოჯახის წევრები თვლიან, რომ პროფესიული სასწავლებლის დამთავრება არ ზრდის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე /საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების დასაქმების პერსპექტივებს. ამის მიზეზედ ხშირად ასახელებენ:

(1) დამსაქმებლების არასათანადო დამოკიდებულებებს („ რატომ აიყვანს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე /საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს, როდესაც ამდენი უმუშევარია ქვეყანაში?“),

(2) დამსაქმებლებისთვის წახალისების სისტემის არარსებობა

(3) პროფესიული სასწავლებლიდან დასაქმების ადგილზე გადასვლის მხარდამჭერი სერვისის არარსებობა. ასევე, არ არსებობენ პროფესიონალები, რომლებიც შშმ/სსმ პირებს სამუშაო ადგილზე ადაპტირებაში დაეხმარებიან - მაგალითად, ჟესტური ენის თარჯიმანთა რაოდენობა და კვალიფიკაცია მეტად მნიშვნელოვანია სმენის

პრობელმების მქონე ადამიანებისთვის, job coach ების არ არასებობა განსაკუთრებით მნიშველოვანია გონებრივი შეფერხების მქონე პირებისთვის.

(4)პროფესიული სასწავლებლებში სწავლების ხარისხი. ხშირ შემთხვევაში. კურდამთავრებულები ვერ პასუხოვენ ბაზრის მოთხოვნებს. იქ, სადაც სწავლების პროცესი კარგად არ არის ორგანიზებული და მნიშვნელოვნად დასახვეწია, საგანმანათებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს უფრო უჭირთ საჭირო უნარების გავითარება.



#### 4. დასკვნები და რეკომენდაციები

##### 4.1. დასკვნები

უმუშევრობა ყველა მოწყვლადი ჯგუფისათვის მწვავე პრობლემას წარმოადგენს; დასაქმების შემთხვევაშიც ისინი უმეტესად დაბალპროდუქტიულ სოფლის მეურნეობაში საქმდებიან და თვითდასაქმებულები არიან. დასაქმებაში ხელს უშლით შესაბამისი ცოდნისა და უნარების ნაკლებობა, კომპეტენციების განვითარების შეზღუდული შესაძლებლობა, სწავლის ბარიერები ან დამოკიდებულებები.

მოწყვლადი ჯგუფებისათვის პროფესიული განათლება ხშირად ერთადერთ საგანმანათლებლო ალტერნატივად აღიქმება. პოზიტიურია ის, რომ მოწყვლადი ჯგუფების უმეტესობას სურს პროფესიული განათლების მიღება, თუმცა, პრობლემა მისი ხელმისაწვდომობაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოწყვლადი ჯგუფებისათვის ხშირად უფრო პრესტიჟული უმაღლესი განათლებაა.

კვლევამ გამოავლინა, რომ მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერები მრავალფეროვანია და შემდეგ ფაქტორებს უკავშირდება:

- ფინანსების ნაკლებობა ყველა მოწყვლადი ჯგუფის პრობლემაა. მართალია საჯარო პროფესიულ სასწავლებლებში სწავლება უფასოა, მაგრამ სასწავლებლების გეოგრაფიული განაწილება არათანაბარია, ხოლო ოჯახებს არ შეუძლიათ კერძო პროფესიულ სასწავლებლებში საფასურის გადახდა, რაც ამცირებს მათ ხელმისაწვდომობას პროფესიულ განათლებაზე.
- ხშირად მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს საჯარო კოლეჯებშიც არ შეუძლიათ სწავლა, რადგან საჭიროა გადაადგილება, რაც დამატებით ხარჯებს უკავშირდება; სასწავლებლების უმეტესობას არ აქვს საერთო საცხოვრებელი, ხოლო სტუდენტებს სტიპენდიები ან სამგზავრო შეღავათები.
- არსებობს განათლების პოლიტიკასთან დაკავშირებული ბარიერები და რეგულაციები, როგორცაა: საბაზისო განათლების არმქონე სტუდენტებს/ატესტატის არ მქონე სტუდენტებს/ არ აქვთ პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა; ასეთ სტუდენტებს შეუძლიათ მოკლევადიანი კურსების გავლა, თუმცა ხელი არ მიუწვდებათ დაწყებით პროფესიულ განათლებაზე და ვერც იღებენ პროფესიულ კვალიფიკაციებს. ეს მათ შრომის ბაზარზე ნაკლებად კონკურენტუნარიანს ხდის ცოდნისა და უნარების თვალსაზრისით. პროფესიულ განათლებაში არსებული “ჩიხები” ხელს უშლის სტუდენტების კარიერულ განვითარებას, თუმცა პოზიტიურია ის გარემოება, რომ მიმდინარეობს ამ “ჩიხებზე” მუშაობა.
- სოციალური ფაქტორები, როგორცაა ოჯახის დამოკიდებულებები და ნორმები ხშირად ბარიერს უქმნის ისეთ ჯგუფებს, როგორცაა ეროვნული უმცირესობები, რეპატრირებული მესხები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები და ვეტერანები.

მშობლებს არ მიაჩნიათ საჭიროდ შვილებისათვის განათლების მიღება, რადგან მათთვის განათლება არ არის მნიშვნელოვანი; ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ გოგოების შემთხვევაში დგას.

მართალია ნაკლებად არის გავრცელებული, მაგრამ ზრდასრულ დევნილებს განათლების მიღება “დაგვიანებულად” მიაჩნიათ.

ქართული ენის ცოდნა პრობლემაა ეროვნული უმცირესობების, რეპატრირებული მესხების, დევნილების, ეროვნული უმცირესობებისა და ვეტერანებისათვის; მათ ქართულ ენაზე სწავლის შესაძლებლობა არ აქვთ; ენა მისაღებ გამცდებზედაც ქმნის პრობლემას; სხვა პრობლემაა რომ ჩარიცხვის შემთხვევაშიც ამ სტუდენტებს ხელი არ მიუწვდებათ ქართული ენის მოსამზადებელ კურსებზე, რაც მათ სწავლის პროცესს გაუადვილებდა.

ტესტირება, რაც საჯარო კოლეჯებში სწავლის დაწყების წინაპირობაა, მოწყვლადი ჯგუფებისათვის ბარიერია. მოსწავლეებს არა მხოლოდ ენის პრობლემა აქვთ, არამედ ტესტირებისადმი დამოკიდებულებაც უარყოფითი აქვთ, აქვთ შიში და ტესტების ჩაბარების ნაკლები გამოცდილება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირად მათ არ აქვთ კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

არსებული სტატისტიკა ადასტურებს, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი საერთოდ არ გადის ტესტირებაზე, რის მიზეზებს დამატებითი კვლევა სჭირდება; შესაბამისად რეგისტრირებული სტუდენტების ნაკლები რაოდენობა ხდება სტუდენტი სახელმწიფო კოლეჯებში.

თითქმის ყველა ჯგუფისათვის არანაკლებ პრობლემურია ინფორმაციის ნაკლებობა როგორც პროფესიული განათლების, ასევე პროგრამების, სასწავლებლების და იქ არსებული პრობლემების შესახებ. როგორც სტუდენტებს, ასევე მათ მშობლებს არ აქვთ ინფორმაცია შრომის ბაზრის ტენდენციებსა და მოთხოვნებზე.

- დროის ნაკლებობას უჩივიან დასაქმებული ზრდასრულები, სოციალურად დაუცველი პირები, ვეტერანები. მათთვის საგანმანათლებლო მიდგომები ნაკლებად მოქნილია.
- გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს და დიდწილად არის დაკავშირებული ფინანსურ საკითხებთან.
- სივრცის ორგანიზება და სწავლება-შეფასების მიდგომები განსაკუთრებით პრობლემურია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე /საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის.
- არაფორმალური განათლება შედარებით უფრო მოქნილი მიდგომაა გარკვეული ჯგუფებისათვის.

#### 4.2. რეკომენდაციები

პროფესიული განათლების პოლიტიკის შემუშავებისას გასათვალისწინებელია სამიზნე ჯგუფების საჭიროებები, ინტერესები, მოტივები და შესაძლებლობები; ის ბარიერები, რაც ყველა სამიზნე ჯგუფს აქვს, შეიძლება ერთიანი მიდგომით გადაიჭრას, თუმცა, არსებითია სახელმწიფოს პოლიტიკის მორგება ცალკეაღებულ ჯგუფების საჭიროებებზეც.



ცხადია, მნიშვნელოვანია ყველა სამიზნე ჯგუფის ხელმისაწვდომობა პროფესიულ განათლებაზე, მაგრამ შეზღუდული რესურსების გამო ხშირად საჭიროა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებს შორის პრიორიტეტების გაკეთება. ამ დროს ძირითადი კრიტერიუმები ეკონომიკური და სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას უნდა უკავშირდებოდეს. მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, თუ რა სახის აქტიური შრომის ბაზრის ღონისძიებები უნდა იყოს გამოყენებული მომზადებასა და გადამზადებისას.

### პოლიტიკა და სტრატე

#### გიები

პოლიტიკის დონეზე მნიშვნელოვანია ისეთი ღონისძიებების გატარება, რაც ხელს შეუწყობს მთელი ცხოვრების განმავლობაში განათლების მიღებას (LLL) და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას. ამ ღონისძიებებს შორისაა:

საკანონმდებლო საფუძვლის მომზადება/მარეგულირებელი დოკუმენტების მომზადება/გადახედვა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით; მნიშვნელოვანია, ახალი კანონი პროფესიული განათლების შესახებ უფრო ინკლუზიური იყოს და მინიმუმამდე შესძლოს ბარიერების შემცირება.

მნიშვნელოვანია მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაში ჩართვის პოლიტიკის შემუშავება კონკრეტული ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით, სტრატეგიის შემუშავება კონკრეტულ სამოქმედო გეგმასთან ერთად; მისი დანერგვის ეფექტური მონიტორინგისა და შეფასების სისტემების განვითარება; მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაში ჩართვასთან დაკავშირებით

ადვოკატირების, პოლიტიკური დიალოგისა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა სოციალურ და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობით;

მიზნობრივი პროგრამების გაფართოება, სპეციალიზებული სერვისებისა და დახმარების სქემების შეთავაზება შესაბამის დაფინანსების მოდელთან ერთად;

განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მოსწავლეები, რომელთაც მხოლოდ საბაზო ან უფრო დაბალი საფეხურის განათლება აქვთ. მათთვის პროფესიული განათლება მხოლოდ დასაქმების საშუალებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს, არამედ პიროვნული და სოციალური უნარების განვითარების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს.

### და ფინანსე

#### ბა

კვლევამ აჩვენა, რომ პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი გავრცელებული ბარიერი არის ფინანსების ნაკლებობა. მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ სავალალოა. ამიტომ, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ ქმედითი ღონისძიებები გადადგას დაფინანსებასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია დაფინანსების უზრუნველყოფა, სპეციალური პროგრამების შემუშავება მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაში ჩასართვად. საერთო საცხოვრებლების უზრუნველყოფა და სატრანსპორტო ხარჯების შემცირება.

პროფესიული განათლება სმილების წინაპრობები

მნიშვნელოვანია გადაიხედის პროფესიულ განათლებაში შესვლის/სტუდენტის ჩარიცხვის პრობები. მართალია კვლევა არ არის ამომწურავი, მაგრამ ცხადია, რომ პროფესიული ტესტირება მოსწავლეებისათვის ბარიერის ფუნქციას უფრო ასრულებს, ვიდრე შერჩევის ფუნქციას. სწორი შერჩევის ფუნქციის შესრულება პროფორიენტაციის სისტემამ უნდა შეითავსოს.

გასათვალისწინებელია იმ პირების პროფესიულ განათლებაში შესვლა, ვისაც არ აქვს საბაზი განათლება დასრულებული და არ აქვს შესაბამისი საგანმანათლებლო დოკუმენტი. მნიშვნელოვანია ახალ კანონში და შესაბამის დოკუმენტებში აისახოს პროფესიულ პროგრამებზე ასეთი სტუდენტების წვდომის და განათლების ზედა საფეხურებზე გადასვლის შესაძლებლობა.

ინფორმირება

მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი საინფორმაციო და პროფორიენტაციის სისტემა და მექანიზმები, რომელიც მოსახლეობის ინფორმირებას სამიზნე ჯგუფების საჭიროებების მიხედვით მოახდენს.

მნიშვნელოვანია ინფორმირების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება: საინფორმაციო შეხვედრები, პროფორიენტაცია, სატელეფონო მომსახურება, ელ.ფორმით ინფორმაციის გავრცელება და ა.შ.

პროფორიენტაციის სისტემის ჩამოყალიბება. ახალგაზრდა თაობისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაცია და პროფორიენტაცია. მნიშვნელოვანია სისტემის განვითარება როგორც დაწყებითი და საშუალო განათლების დონეზე, ასევე განათლების დასრულების შემდეგ, რაც ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი.

მნიშვნელოვანია პროფორიენტაციის სისტემის მორგება შეზღუდული შესაძლებლობების/საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ახალგაზრდების საჭიროებებზე - პროფორიენტაციის სისტემა მათ პროფესიის აუჩქარებლად და სწორად შერჩევის საშუალებას უნდა აძლევდეს. ამისთვის მეტად მნიშვნელოვანია, მათ პროფესიის არჩევის მეტი მრავალფეროვნება ჰქონდეთ (არა მხოლოდ ერთი სპეციალობის შიგნით), ასევე მეტი დრო ჰქონდეთ პროფესიის ადგილზე მოსინჯვისთვის. ასევე აუცილებელია, მათთან მომუშავე მულტიდისციპლინურ გუნდს მეტი დრო მიეცეს სამუშაოდ, რათა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი შეფასებებისა და რეკომენდაციების დროს დაშვებული შეცდომები.

ცნობიერების ამაღლება

კვლევამ აჩვენა, რომ ბარიერი ხშირად მოწყვლადი ჯგუფების ღირებულებებს და დამოკიდებულებებს უკავშირდება. ეს ხელს უშლის ამ ჯგუფებს არა მხოლოდ სწავლის დაწყებაში, არამედ სოციალურ ინტეგრაციასა და შემდგომ დასაქმებაში.

მნიშვნელოვანია ეფექტური ღონისძიებების გატარება, რაც ხელს შეუწყობს

პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებას შესაბამის  
მონყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა

სთეიქჰოლდერებში, ესენია: განათლების პოლიტიკის შემქნელები, სტუდენტები, მათი მშობლები, მასწავლებლები, ადმინისტრაცია, დამსაქმებლები და სოციალური პარტნიორები.

მნიშვნელოვანია ეროვნული უმცირესობებისა და რეპატრირებული მესხების მშობლების დამოკიდებულებების შეცვლა გოგონების განათლების მიმართ.

ზრდასრული მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების განმავლობაში განათლების მიღების მნიშვნელობის გაცნობიერება და განათლებაში ჩართვის ხელშეწყობა.

არა ფორმალური განათლების მიღება და არა ფორმალური განათლები ს აღიარება მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაში ჩართვისას გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ფორმალური, არამედ არაფორმალური და ინფორმალური განათლება. ხშირად ეს უკანასკნელი უფრო მისაღებია და მოქნილი, ვიდრე ფორმალური პროფესიული განათლება.

მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს სისტემის მოქნილობას; შესაძლებელი უნდა გახდეს წინმსწრები განათლების აღიარება და არაფორმალური გზით მიღებული განათლების ინტეგრირება ფორმალურ განათლებასთან.

პროფესიული საგანმანათლებლო ქსელი ს გავარტოვება

მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო ქსელის მორგება გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპებთან. საგანმანათლებლო დაწესებულებების არარსებობაზე განსაკუთრებით რეგიონებში მაცხოვრებელი ეროვნული უმცირესობები მიუთითებენ; საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოებისას მნიშვნელოვანია ადგილზე არსებული საჭიროებების გათვალისწინება.

მნიშვნელოვანია პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (სასწავლებლების გახსნა, სახელმწიფო-კერძო სისტემის პარტნიორობის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების გატარება) იქ, სადაც არის დევნილთა კონცენტრაცია. ეს ხელს შეიწყობს მათ ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციას, რაც სახელმწიფოს ერთ-ერთი გაცხადებული პრიორიტეტს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია მოქნილი საგანმანათლებლო მიდგომის შეთავაზება; ისეთი სერვისების განვითარება, როგორცაა მობილური ჯგუფები, დისტანციური სწავლება, სწავლების მრავალფეროვანი ფორმების განვითარება.

მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო სივრცის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების საჭიროებების მიხედვით. აქ იგულისხმება: სასწავლებლმადე მისვლის, სასწავლებლის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა, სწავლებასთან დაკავშირებით სივრცის ადაპტირება.

სწავლებლები ს მოქნილი მიდგომები და მეთოდები

მონყვლადი ჯგუფებისათვის მნიშვნელოვანია სწავლების მოქნილი, მრავალფეროვანი მიდგომების უზრუნველყოფა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მათ პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობას.

საგანმანათლებლო პროგრამების (ხანგრძლივი და ხანმოკლე კურსების) დანერგვას თან უნდა ახლდეს ადეკვატური მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განვითარება. განათლების ინდიკატორები უნდა დაუკავშირდეს დასაქმებას, სადაც ეს შესაძლებელია, თუმცა არ უნდა გამოგვრჩეს სოციალური ფაქტორებიც. პროგრამების განახლება, ახალი პროგრამების შემუშავება არსებული პროგრამების შეფასების შედეგებს უნდა ემყარებოდეს.

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სწავლება ხშირად ითვალისწინებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. აუცილებელია ეს პროცედურა აისახოს მარეგულირებელ დოკუმენტებში, რათა პროფესიულმა სასწავლებლებმა მოახერხონ ამ პროცესის თანმიმდევრული დაგეგმა და საჭირო სპეციალისტების მოძიება.

მონყვლად ჯგუფებთან საგანმანათლებლო მუშაობისას (განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან და ქუჩაში მცხოვრებთ და მომუშავე ახალგაზრდებთან მუშაობისას) მნიშვნელოვანია დამატებითი ადამიანური რესურსების ჩართვა, როგორცაა მაგალითად, სპეციალური მასწავლებელი და ჟესტური ენის თარჯიმანი;

სახელმწიფომ ბავშვის განათლების სისტემაში ყოფნის ეტაპზე, ადრევე უნდა დაიწყოს მუშაობა მათთან, ისევე, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და პროფესიული ინტერესების გაღვივებაზე.

მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საბაზო უნარების, პიროვნული და სოციალური კომპეტენციების განვითარებას, რადგან პროფესიული კვალიფიკაციების ფლობის პირობებშიც კი, თუ საბაზო უნარები არასაკმარისად არის განვითარებული, მათ შეიძლება შექმნან ბარიერი დასაქმების თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანია მასწავლებლების ტრენინგი სხვადასხვა მონყვლადი ჯგუფების სწავლება-შეფასებასთან დაკავშირებით; სოციალურ ფსიქოლოგიური ინტერვენციების ეფექტურად გამოყენებაში.

### კვლევის საჭიროება

მნიშვნელოვანია კვლევის არსებული მონაცემების შევსება თავად ბენეფიციარებთან ჩატარებული კვლევის შედეგებით; მათი საჭიროებების, ღირებულებების, განწყობებისა და ინტერესების უკეთ გაგება.

ამდენად, მნიშვნელოვანია სისტემატური კვლევების ჩატარება სამიზნე ჯგუფებთან მათი საჭიროებების გაგების, დინამიკის და შემდგომ დაკმაყოფილების მიზნით.

## ბიბლიოგრაფია

1. ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წწ. სამოქმედო გეგმა. 2012
2. განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობები საქართველოში (2009)
3. ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის. სიტუაციური ანალიზი. 2014
4. პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2013-20
5. საქართველოს კანონი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ. 2005
6. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ (2010)
7. სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი მოზარდების მდგომარეობის კვლევა ბავშვზე ზრუნვის სისტემის დატოვების შემდგომ პერიოდში (სიტუაციური ანალიზი).

## საჯარო

პოლიტიკის კვლევისა და ტრენინგების ცენტრის პოლიტიკის ანგარიში (2014).

8. ტაბატაძე, მ. & გორგაძე, ნ. (2013). კვოტების სისტემის კვლევა საქართველოს უმაღლეს

სასწავლებლებში.

9. “ტორინო 2014- საქართველო”. ანგარიში. 2014
10. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია (2014).
11. შრომის ბაზრის სტრატეგია და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმა 2013-2014. 2013.
12. Access to employment for vulnerable groups. European Foundation for the improvement of living and working conditions. Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities, 200
13. Access to and participation in continuous vocational education and training (CVET) in Europe. Policy Handbook. CEDEFOP. Luxembourg: Publications Office of the European Union, 2014
14. Atkinson, J., European Foundation for the Improvement of Living and Working Conditions, Employment options and labour market participation, Luxembourg, Office for Official Publications of the European Communities, 2000
15. Benefits of vocational education and training in Europe for people, organisations and countries. CEDEFOP. Luxembourg: Publications Office of the European Union, 2013
16. EUROPE 2020. A European strategy for smart, sustainable and inclusive growth. 2010
17. On the way to 2020: data for vocational education and training policies. CEDEFOP. 2013
18. Country statistical overviews Rubenson, K., & Desjardins, R. (2009). The impact of welfare state regimes on barriers to participation in adult education: A bounded agency model, *Adult Education Quarterly*, 59 (3), pp. 187-207.



დანართი 1. კვლევის ინსტრუმენტი

ჩალრმავებული ინტერვიუ

| თარიღი | რესპონდენტი | ორგანიზაციის დასახელება და რესპ.თანამდებობა | საკონტაქტო ინფორმაცია | ინტერვიუერი |
|--------|-------------|---|-----------------------|-------------|
|        |             |   |                       |             |

| #    | კითხვები   |
|------|--|
| 1    | ძირითადად ვინ არიან თქვენი ორგანიზაციის ბენეფიციარები?   |
| 2    | რამდენ ადამიანს აერთიანებს თქვენი ორგანიზაცია?   |
| 3    | რა არის ორგანიზაციის მიზანი?   |
| 4    | რამდენად წარმოადგენს უმუშევრობა თქვენი ბენეფიციარების პრობლემას?   |
| 5    | აქვთ თუ არა თქვენ ბენეფიციარებს, განსაკუთრებით მათ ვისაც მუშაობა სურს, განათლების მიღების (ან გაგრძელების ) პრობლემა?  |
| 6    | თუ აქვთ, რაში გამოიხატება?   |
| 6.1  | - არ აქვთ და სურთ უმაღლესი განათლების მიღება   |
| 6.2  | - არ აქვთ და სურთ პროფესიული განათლების მიღება   |
| 7    | საშუალოდ რა ასაკისანი არიან ის პირები, რომელთაც სურთ პროფესიის დაუფლება პროფესიული განათლების მეშვეობით? აქედან რამდენია ქალი?   |
| 8    | მათ, ვისაც სურს პროფესიული განათლების მიღება მაგრამ გარკვეული სირთულეები ექმნებათ, თქვენი აზრით რა უშლით ამაში ხელს?   |
|      | მას შემდეგ რაც რესპონდენტი ჩამოთვლის ბარიერებს, შევამოწმოთ და ჩავეკითხოთ იმ ბარიერებზე, რომლებიც არ ახსენა:  |
| 8.1. | ინფორმაცია   |
|      | არ აქვთ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ სად შეიძლება გააგრძელონ სწავლა -რა პროფესიების დაუფლება არის შესაძლებელი, რომელი სასწავლებლები არსებობს, სად მდებარეობენ ეს სასწავლებლები, |
|      | არ იციან რა არის საჭირო (ატესტატი, საბუთები) იმისათვის, რომ სწავლა გააგრძელონ პროფესიულ სასწავლებელში  |
|      | არ იციან რა ღირს სწავლა  |
| 8.2  | განათლება  |
|      | არ აქვთ მიღებული სწავლის გაგრძელებისთვის ან პროფ. განათლების მისაღებად აუცილებელი წინარე განათლება (9 კლასის ატესტატი)   |
|      | ფიქრობენ, რომ ვერ გაივლიან ტესტირებას  |
|      | არ იცის კარგად ქართული   |
|      | არ მიაჩნიათ ფორმალური განათლების მიღება მათთვის სასურველი პროფესიის დაუფლების აუცილებელ პირობად  |
|      | მიაჩნიათ, რომ მათ ასაკში სწავლა ძნელია/სამარცხვინოა/უხერხულობას შეუქმნით ჯგუფის წევრებთან ურთიერთობაში   |

|     |  |
|-----|--|
| 8.3 | პირობები   |
|     | სასწავლებელი, რომელშიც მათთვის სასურველ პროფესიას ასწავლიან შორს არის მათი სახლიდან/სოფლიდან/ქალაქიდან     |
|     | ფიზიკურად უჭირთ სასწავლებლამდე მისვლა  |
|     | უჭირთ სასწავლებელში შესვლა, სასწავლებელში გადაადგილება   |
|     | არ აქვთ დრო, იმისათვის რომ ისწავლონ გამომდინარე ოჯახის საქმეებიდან/კერძო ბიზნესისგან/ სოფლის მეურნეობისგან |
| 8.4 | ოჯახური პირობები და ნორმები  |
|     | არ შეუძლიათ სახლიდან გასვლა, რადგან ვერ ტოვებენ შვილებს/ავადმყოფ ოჯახის წევრს                              |
|     | სასწავლებელში არ უშვებენ ოჯახის წევრები  |
|     | მათ გარემოში მისაღები არ არის, რომ ოჯახისგან ცალკე, სხვა ქალაქში ცხოვრობდნენ                               |
| 8.5 | ფინანსური მდგომარეობა  |

დანართი 2.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები და შეხვედრები

| №   | ორგანიზაცია  |   |
|-----|--|---|
| 1.  | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო  | მარია ზაქარეიშვილი - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული სისტემისა და გადამზადების სისტემაში დირექტორი |
| 2.  | საქართველო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ეროვნული სასწავლო გეგმები                            | არაქართული სასწავლო მასალების კოორდინატორი-კარინე მანუკიანი   |
| 3.  | საქართველო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი      | თამარ ქიტიაშვილი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი  |
| 4.  | განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS)  | გაგა გიორგაძე, პროგრამისტი  |
| 5.  | აფხაზეთის განათლების სამინისტრო  | მანანა ქვაჩახია, მინისტრიეს მოადგილე  |
| 6.  | სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი   | ზაურ ხალილოვი   |
| 7.  | არასამთავრობო ორგანიზაცია სინერჯია   | ელიკო ბენდელიანი  |
| 8.  | საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრო | ირაკლი კოკაია   |
| 9.  | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო  | ლელა ცქიტიშვილი   |
| 10. | შშმ ქალთა და შშმ ბავშვთა დედათა ასოციაცია „დეა“  | მადონა ხარებავა, ხელმძღვანელი   |
| 11. | საქართველოს ყრუთა კავშირი  | მაია მატონიძე, ვიცე-პრეზიდენტი  |
| 12. | კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ,  | ლია ასანიშვილი , სოციალური თერაპევტი  |
| 13. | საქართველოს კარიტასი   | თამარ შარაშიძე, პროგრამის კოორდინატორი  |
| 14. | World Vision   | მარიანა ხუნძიკიშვილი, კოორდინატორი  |
| 15. | შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოციალური დაცვის სააგენტო                        | მაია ასათიანი, დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი  |
| 16. | რეგიონული და ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტრო   | თეონა კვებეშვილი ექსპერტი რეგიონული პოლიტიკის დანერგვის მხარდაჭერა საქართველოში   |
| 17. | სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური  | ნატალია მაისურაძე კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების უფროსი  |